







უტურნალ „ჯეჯილისა“

I	გაზაფხული ლექსი—კნ. ნინო ოსტუფიანის	3
II	სინანული დიდი საქმეა ამბავი—თ. კანდელაკისა	4
III	ქალაქელი ძამია (დასასრული)—განოსი	13
IV	ჯეჯილი ლექსი—დ. თამაშვილისა	22
V	აბრეშუმი—თეოფ. კანდელაკისა	24
VI	ბეში და გულ-ყვითელა ზღაპარი—გ. სტანიუკევიჩისა თ:რგ.	31
VII	ცოცხალი ქვა რუსულიდან—სონასი	39
VIII	ფიზიოლოგიური წერილები (წერილი მესამე)—ივ. გომათელისა	49
IX	საკერძეელებანი ბუნებისა № 15 ჰია-ჰია—ლადო აღნია-შვილისა	54
X	სამცნიერო გასართობი № 5 ცდა მარიოტტისა—ბოჩასი	55
XI	თხა და ცხვრები (იგავი)—ლ. მ—შვილისა	57
XII	ენაქოთ, ენ ვის აჯობებს—თ. კანდელაკისა	58
XIII	მორთული და-ძმა	59
XIV	სასაცილო გასართობი—აჩილ ჯაჭანაშვილისა	60
XV	წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, უჯრების გამოცანა, შარადა და რებუსი	



თანახმათ მათი ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო უტურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.





ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მუგანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო...
ი. დ.

№ V

წ ა ლ ი წ ა ლ ი მ ე ც ხ რ ე



თ ვ ი ლ ი ს ი

ს ვ ა ი ბ ა მ. დ. როჭინიანცისა ||| Тип. М. Д. Ротинянца, Гол. ар., д. № 41.
1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 5-го Мая 1898 года.

საქართველოს
ქრონიკა

საქართველოს
ქრონიკა

1898

გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი.



მ ზემ თვისი შუქი მოგვეფინა
 და გულში რაღაც მიაძმა;
 ბუჩქის ძირს თოვლ ქვეშ სა-
 ყვარლათ
 თავი ამოჰკყო იამა.

იმედით გული ამივსო
 ზაფხულის კარმა ღიამა;
 გააღღვო მიწა სითბოთი,

რაც ყინვამ დაგვიზიანა.

აბა გამხნევდით, მუშებო,
 გამარგლეთ ყანის ძირია;
 სასიხარულოთ ეტყობა,
 მოსავალს კარგი პირია.

ეკლები შემოვაცალოთ,
 რომ არ გაუხმოს ძირია,
 რომ ყანამ ტანი აჰყაროს,
 თავ-თავი ჰქონდეს ხშირია.


მერე ვიღზინოთ სამკალში,
 მოგნახლოთ ხეს ქვეშ ჩრდილია;
 უხვათ მოსულისა ჭირნახულის
 უხვათაჲც მოაქვს ღზინია.



სინანული დიდი საქმეა!

(ამბავი ჩვენი ცხოვრებიდან)

მერთო, როგორ გაჭიანურდა ის დიდ-
 მარხვა! ერთი დღე ერთ კვირათ მეჩვე-
 ნებოდა. „მგონი ჰაზი ჩემი ხნისა გა-
 ვხდე, სანამ მეშვიდე კვირა დადგებო-
 დეს მეთქი“, ვფიქრობდი. ახლა რა მე-
 ჩქარებოდა, თუ იცით? საშობაოთ შინ
 არა ვუოფილვარ: ცუდი ნიშნები მივიღე
 სწავლაში და იმიტომ აღარ წამიყვანეს, ჰან-
 სიონში დამგდეს. აბა, იანგარიშეთ: პირველ
 ნკენისთვიდან სკოლაში ვიუხვი; სწორეთ ნახევარი წელი-
 წადი ჩემი სოფლის ღრუბელი არ დამენახა, ჩემი სოფლის
 წუალი არ დამელია, დედა ჩემს არ ჩავკონებოდი და აღ-
 დგომამდის კიდევ ერთი თვე იყო!.. დედა ჩემი მწერდა:
 „ეცადე, შეილო, რომ კარგათ ისწავლო და აღდგომაც
 ძალე მოვაო; „აღდგომა და ხვალათ“, სო გაგიგონია ზ
 მაშინ წამოგიყვანთ შინაო, თუ იბეჯითებ და გულის ეუ-
 რი სწავლისაკენ გექნება, ისე გაივლის დრო, რომ ვერც
 კი გაიგებ! მსოფლიო იცოდე, თუ ახლაც არ გამახარე კარ-
 გი სწავლის ნიშნებით, არც მე გაგახარებ შინ მოყვანი-



თო! ისწავლე, შვილო, შენ ღაბობი დედ-მამის შვილი ხარ და სწავლა გამოგიყვანს სიღარიბიდანო!“ მეც ვცდილობდი, რაც კი შემიძლო, რომ სააღდგომოთ გამეხარებინა დედა ჩემი; მაგრამ დრო მანც მეტათ კმელდებოდა.

ბოლოს მიიწურა დიდ-მარხვაც და მე შინ ვიყავი. დედა ჩემი სისხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ მე სულ ხუთები და ოთხები მუხუდა ყოფა ქცევაში და საგნებში. მეც ამითი წათამამებული ვიყავი, სისხარულით „ცა ქუდათ არ მიძახნდა და დედამიწა ქალამნათ“.

დიდ შაბათ დღეს ჩვენ ოჯახში დიდი ფაცი-ფუცი და მხადება იყო. აქ გოჭს, ქათამსა და ინდოურს ფუფქავდენ, იქ ლორს ალბობდენ და კვერცხებსა ლებავდენ; თონეში დაბრწულ ნაზუქებს აცხობდენ. სადილი ძალიან გვიან მოგვივიდა და მოღალულ-მოქანცულმა დედა ჩემმა სადილს შემდეგ ტახტზე მიდო თავი, რომ თვალი მოეტყუებინა. მე, — აბა რა, თქვენგან არ მიკვირს, — რა მომასვენებდა! ჩიკორივით დავტრიალებდი და ხან სად დავბუდარობდი, ხან სად! ჩემი უმცროსი და თავის დედოფლებს უკლიდა: კვერცხებს უღებავდა, ახალ ტანისამოსს უკერავდა, რთავდა, ალამახებდა, სააღდგომოთ ამხადებდა.

უველგან რომ უველაფრით გული ვიჯერე, გადავაქოთ-გადავაბრუნე, ახლა სამსარეულოში შევავ თავი. იქ ამ დროს არავინ იყო. აქ ნაზუქს წავტეხე ერთი ლუკმა და გადავაქანე ჰირისაკენ; იქ რმესა და კარაქში ჩავტანტრე ხე-

ლი და გავილოკე თითები; წითელი კვერცხებიც მივიკაკუნე კბილებზე; ძველ შექმნარ გოჭსა და ინდოურს ავაციცქნე დაბრწული კანი და გემო ვუნახე და სს. ახლაკი უკან გამობრუნების დრო იყო, თორემ ვინმე მომასწრებდა და შევრცხვებოდი: მსუნაკობის სახელი მქონდა დაჯიღნილი და აგრეთიც ვიყავი, ქვას ქვეშ არას ვუშვებდი! ის იყო, გამოვტრიალდი კარზე გამოსასვლელათ, რომ უცებ თვალი მოვკარ მსუქან დედალს, რომელიც მოსასარშავათ თუ შესაწავათ იყო ევლმოღერებული, არ ვიცდი, რა ფიქრმა მომიარა მე იმ დროს, რომ დავტაცე ხელი დედალს, ჩვენი ჰატარა გოგოს კატუტის სკივრში ჩავძალე და ქურდი კატასავით ფესაკრეფით გამოვეჩქარე ეზოსაკენ... ბევრი ხანი აღარ გასულა დაღამებამდის და ბავშები ადრე დაგვაწვინეს, რომ ძილით გავძამღარიყავით და ლიტონიაზე წასასვლელათ გამოდვიძება არ დაგვსარებოდა. მე, როგორც ცელქი ბიჭი, ძილის გუდა ვიყავი: ბალიძზე თავის მიღება და ხვრინვის ამოშვება ერთი იყო ხოლმე. მაგრამ იმ ღამეს, უნდა გამოვტყდე, ძილი არ მომეკარა! დაუსუტავდი თუ არა თვალებს, მაშინვე დედალი მომელანდებოდა!.. დიდხანს ვიტრიალე შესაწავ გოჭივით ლოკინში და ბოლოს წამთვლიმა, მაგრამ ვაი იმ წათვლემას! უცბათ ქათმის კაკანი შემომესმა! ავხადე სკივრს და იქიდან ჩემი დაძალული ქათამი ამოფრინდა, გამომიდგა და ხელებზე ნისკარტით ცემა დაძიწო! თან რაღაცნაირი გაჯავრე-

ბული და გაკვირვებული კილოთი კრიანებდა და სულ ჩემკენ მოიწევდა... ბოლოს მომვარდა, თავისი გაფუფქული ფრთები მომხვია უელზე და დასწრობას მიპირებდა!.. ერთი კი დავიუვირე „ვაიმე, დედავ“ — მეთქი და გამომეღვიძა... თავზე დედა ჩემი დამდგომოდა და მელანჯარაკებოდა.

— აბა, შვილო, ადექ, ლიტონიანზე წავიდეთო!..

ბევრი ხვეწნა საჭირო აღარ იყო ჩემთვის; სწრაფათ წამოვსტი, ტანთ ჩაცმას შევუდექი და თან საოცარ სიზმარს ვიგონებდი...

— რამდენჯერ მოგახსენეთ, ქალბატონო, შინ დასაყენებელი არ არის მეთქი ის არ დასაცალელებელი და რომ არ გამიგონეთ! ახლა ქურდობაც დაიწყო! ელანჯარაკებოდა მეორე ოთახში დედაჩემს სოფიო — დედაკაცი.

— რითი ხარ დაწმუნებული, დედაკაცი, რომ იმან მოიპარა? აკერ ოთხი წელიწადია ჩემ ოჯახშია და მეჯერ არა შემიძინევია რა იმისთვის! მიუგო დედა.

— დიას, ოთხი წელიწადი გახლავთ და მესუთე წელიწადს გაოსტატდა ქურდობაში!

— ეჰ, რას ამბობ ერთი, დედაშვილობას!

— აი, დედა ღვთისა გაუწერეს და ნუ გაუთენოს აღდგომა სინარულისა ავხელსა და ხელბრუნდ ადამიანი-შვილსა!

— კაია ერთი, ნუ იწევულები ამ ბედნიერ დღეს!

— როგორ არ დავიწევულო, ქალბატონო! საიასადლო,



ინდოურის დარჩი ქათამი... აი, ქათქათი დაიწეოს და ბა-
ბანი კატუტას სიემემა!

მე რომ ეს გავიგონე, კანკალმა ამიტანა, გული და-
მეწვა საცოდაობით და მკონი ნაცრის ფერი მეღებოდა,
რომ ვისმე მოექცია ჩემკენ უურბაღლებს!..

— დაშიღკეს თვალები! უვითელ ქარვასავით გაიჭრა,
კვერცხებით სავსე იყო!.. დაიწეო ისევ სოფიომ.

— არ ვიცო... არა მკონია... მაგრამ თუ ეს მართა-
ლი გამოდგა, ამაღამვე გავაგდებ, მაკ სამაგელს, მაგასა!

ამ დროს მე მოვრჩი ჩემ ძორთულობას; ძვერბინე
მეორე ოთახში და, ვითომც ბუხიც არ ამურენოდეს და
არც არა გამეგონრა,—ავიტუსე დედაჩემის კვერდით! სო-
ფიომ კიდევ კაი-კაი შეუკურთხა საცოდავ კატუტას, ქო-
ქოლა მიაყრა, შეიფურთხა იმისკენ და ბუტბუტით გავი-
და მეორე ოთახში.

მე მინდოდა უველახფერში გამოვტედილოდი დედაჩემს;
მაგრამ ენა დამება, კრიჭა შემეკრა და სმა ველარ ამოვი-
დე. სწორეთ ამ დროს თითონ კატუტიამაც შემოჭყო თა-
ვი ოთახში. მე სირცხვილის ალმური ამდიოდა, მუხლთ
მოძეკვეთა და ჩავჯექე იმის დანახვასე.

— ქაღიატონო, ე სამგლე კატა ან უნდა გადავკარ-
კოთ სადმე, ან ჩავაღრძოთ, თორემ სულის დგმა აღარ
არის იმისგან! შემოიძახა კარებში კატუტიამ გაბედული
კილოთი.

— რათა, გოგო, რა ამბავია? მიუგო დედამეძმა იმ კილოთი, თითქო არა იცის რა.

— რაღა რაა, ქალბატონო, მეტის მეტათ ქურდობს! დედალი მოუტაცნია სამხარეულოში და არ ვიცით სად გადაძალა! ჩაცვესლხა ძვლებიანათ, თუ რა უო?..

— კატამ კი მოიტაცა ვითომ? ცბიერი დიმილით დაეკითხა დედამეძმა...

— მამ სხვამ ვინა, ქალბატონო! ის იქნებოდა, ის!.. ერბო არ გადაჩინა, რძე და ნალები... ეველგან ცხვირი წაუყვია!.. კოჭისა და ინდოურისთვისაც შეუცდებია ცოტ-ცოტა კანი!.. მაგრამ დედალსაც თუ წაიღებდა, ვის ეგონა!..

— იქნება მარტო ის არ ეყვეს, გოგო, და შეელოდეს ვინმე?

— რა ვიცი, ქალბატონო! მეკი... დედ-მამა არ წამიწუდება... მეორე აღდგომას ნუ დავესწრო, თუ რამე ვიცოდე!..

მე რაღამაც ჩხვლეტა დამიწყო, თითქო ეკლებზე ვიჯექი და აღარ ვიცოდე, საითკენ მიმეხედნა! ჩემი თავიც მეცოდებოდა, კატუტიაცა და კატუნაცა!.. კატა ამ დროს არსენიანთ მოკუნტულიყო მუთაქასე და, თითქო ტკბილ სიზმრებშიაო, წამ და უწუმ შეცდუკებოდა, და საამოთ ხვრინავდა, ხრუტუნებდა!

„საწუალი კატუტია! საცოდავი კატუნია“ ვფიქრობდი მე; მაგრამ გადავწყვიტე, რომ ახლა გვიან და არის და-




ფარული საიდუმლოს კამქლავნება და უნდა გაფრინდეს შე-
თქი!...

აბ ვიცო, რა მოხდებოდა შემდეგშიაც და რითი და-
ბოლოვდებოდა ეს საშინელი ცილის წამება; ვისზე მია-
უღებდენ ჯოხს; ვის დააკისრებდენ ქურდ-ბაცაცობასა და
დასჯიდენ, თუ რომ ერთ ბედნიერ შემთხვევას აბ ალედგი-
ნა ჭეშმარიტება.

როგორც მიღებულა, ალდგომა დღეს შემოგვილოცა
მოძღვარმა. ჩვენ ის, რასავვირველია, ტაბლასე მივიწვიეთ.
მრევლში სიარულით. მოღალეული მოძღვარი გულიანათ
შექცა ჩვენ სუფრას და გააბ-გამოაბა ბაასი სხვა და სხვა
საგნებზე და, სხვათა შორის, შენანებაზედაც ჩამოაგდო ლა-
ხარაკი.

— სინანული დიდი საქმეაო! თქვა მოძღვარმა და
მოიყვანა სახარებიდან ის მაგალითი, როდესაც იესო
ქრისტესთან ჯვარცმულმა ერთმა ავასაკთაგანმა სიკვ-
დილის წინ მოინანია თავისი შეცოდება, რისთვისაც
მიიღო მიტევება მაცხოვრისაგან, რომელიც ასე დაჰპირ-
და: „ჭეშმარიტად, შენ დღესვე ჩემთან იქნები სასუფევე-
ლშიო“! დიას, სინანული დიდი საქმეაო! დაბოლოვა მოძ-
ღვარმა...

ამ სიტყვებზე სოფიომ კატუტის გადახედა, კატუტიამ
— ტახტზე დატყუებულ კატუნას და მე—დუდაჩემს და-
უწვევ ცქერა, მაგრამ თვალი ველარ გაფუსწორე, სინიდი-



სმა თავისი გაიტანა, ქენჯნა დაძვინო! გაფუცთრდი, თვალებში ცრემლები მომერია, ეელში რაღაც მომაწვა და გულ ამოვკვნილი ტირილი ამოვუშვი. დედაჩემი შეშინდა, გულზე მიმიკრა და მეორე ოთახში გამიყვანა..

— რა არის, შვილო, რათა ტირი!.. სო არა გტკივარა? მეკითხებოდა.

— მე.. მე.. ავაზა...კი ვარ მეტი. ძლივს წამოვთქვი, რადგანაც ცრემლები მასწრობდენ.

— უი, დაძვინე თვალები! რათა შვილო?, ღმერთმა დაგიფაროს!

— არა! მე...მე ვარ... ავაზაკი...რადგანაც... და გამოვამქლავნე ჩემი დანაშაული, და ვითხოვე მოტეკება!.. გაკვირვებულმა დედაჩემმა მახატავა დანაშაული და საიდუმლოებაც გამოიჩინა. ამასობაში მოძღვარიც წავიდა და ჩვენ ოჯახში ერთი ამბავი შედგა. კატუტია, რომელიც წუსელის ჩაღრმობას უპირებდა კატუნის, ახლა თავზე ხელს უსვამდა, გულში იხუტებდა და ეფერებოდა; სოფიო დედაკაცმა, რომელიც საიქიოს გზავნიდა „არ დასცალებელ“ კატუტიას რომ მეორე აღდგომას არ დასწრებოდა, დედობრიულათ ჩაკოცნა უდანაშაულო კატუტია და „ქრისტე აღდგა“ მიულოცა. მეც გულზე ლოდი მომეშვა და თავს მსუბუქათა ვგრძნობდი!..

ამას შემდეგ ჩემი ჩვენებით ქათამიც იპოვნეს და წარმოადგინეს. ის სადილისთვის მოამზადეს. მაგრამ რო-

გორც ურია ღორის ხორცს, ისე შე იმას არ დაუკარებია
 ვარ, ჩემი კერძი ციცუნისას გადავუდგი. მოგეცათ ღზენა, კა-
 ტა დიდი კმაყოფილებით შეექცა გემრ.ელ დედლის ხორცს.
 და ჩააკნატუნა ძვლებიანათ! რა იცოდა საცოდავმა, რამ
 საშინელ ცილსა სწამებდენ და კინაღამ მიბეგვეს ალალ-
 მართალი!

იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მას
 აქეთ, რამდენჯერაც ქათმის ხორცს დავინახავ სუფრაზე, წა-
 რსული მაგონდება და გული ფანცქალს დამიწეებს ხო-
 ლძე.

თეოფ. კანდელაკი.



ქალბაქელი ძამია.

(დასასრული)

VII



აღბა ენკენისთვე, სოსანას მასწავლებელი დაუჭარეს. ის დილაზე მასწავლებელთან მიდიოდა, სადილობისას ბრუნდებოდა და ნასადილევს ისევ მიდიოდა. პირველ ხანებში ძალიან ეუცხოებოდა რომ აღარაფერს აკეთებდა სწავლის გარდა, როგორც სერგო, მაგრამ თანდათან მიეჩვია. თუმცა დავითი ეუბნებოდა შენ ახლა ჩემი შვილი ხარ, როგორც ჩემი სერგო; ოღონდ კარგათ ისწავლე და შენგან მეტი აღარაფერი მინდაო, — მაგრამ სოსანა მაინც დილაზე ადრე ადგებოდა ხოლმე და თავისას და სერგოს ფეხსაცმელებს წმენდა. დრო მიდიოდა, სოსანა ბეჯითათ სწავლობდა, შემოდგომამ და ზამთარმა ისე გაირბინეს რომ სოსანას არც-კი შეუმჩნევია, ისე გართული იყო სწავლაში. გომნაზიაში უსათუოთ მოთხოვდენ სოსანას მეტრიკულ მოწმობას. სოსანას კი არ ჰქონდა. სოფელში წასვლაც შეუძლებელი იყო, რადგანაც მარტო ერთი ბავში ვერ წავიდა, სხვა კი ვერაფერ წაჰყვებოდა. დავითმა გამოჰკითხა სოსანას სოფლის სახელი, მღვდლისა, ნათლიებისა, გამოიანგარიშა მონათვლის წელიწადი, სინოდალურ კანტორაში ნაცნობი ბევრი ჰყავდა, იკითხა და მოწმობა გამოიტანა.

გაზაფხული გაილია. სოსანას გამოცდის დღე მოახლოვდა. სოსანა



მოუთმენლათ მოელოდა იმ დღეს. მას აღრე გამოეღვიძა, რადგანაც გიმნაზიაში უნდა წასულიყო გამოცდის დასაჭერათ. გული ჩქარა უტყემდა. მთელი მისი არსება რაღაც უსიამოვნო გრძნობით იყო გამსჭვალული. სახეზე აღეღვება და აღშფოთება ეჩნეოდა. დალია თუ არა ჩაი, დაიხურა ქუდი და ის და დავითი გიმნაზიისაკენ წავიდნენ.. წარსდგა სოსანა მასწავლებლის წინ. ჯერ მოედებოდა დააჭერია გამოცდა; შემდეგ რუსული წაკითხვას, დაწერივს, ამიცანა გააკეთებდნენ. პატარა ხანს სოსანა შეკრთა, შეეშინდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და ისე თამაშით უგებდა პასუხს, თითქო თავის მამა, საჩინოს, ემუსაიფებოდა..

გათავდა გამოცდა. სოსანა გაათავისუფლეს. მალე გამოვიდა მასწავლებელი და დავითს უთხრა: გამოცდა ისე საუცხოვრით დაიჭირა, რომ ყველა გაგვაკვირვავო. დავითს სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— სოსანა, გამოცდა კარგათ დაგიჭერია. პირველ კლასში მიგიღეს. მიუბრუნდა ის სოსანას.— აბა, ახლა შენ იცი, თუ აქაც კარგათ ისწავლი.

ის ზაფხული სოსანამ მხიარულათ გაატარა, დაისვენა, სახლში წასვლა უნდოდა, რომ დედმამისთვის ეხარებია ყოველიფერი, მაგრამ დავითმა არ გაუშვა, რადგანაც ეშინოდა, გზაზე ვაი თუ იწყინოს რამეო. დავითმა სოსანას გიმნაზიის ტანისამოსი შეუტყრა, საჭირო წიგნები უყიდა და პირველ ენკენისთეიდან გიმნაზიაში სიარული დააწყებია. ის და სერგო ერთათ მილიოდნენ, ერთათვე მოდიოდნენ ხოლმე. სერგო ახლა მეოთხე კლასში იყო, ამიტომ მას ხანდახან სოსანაზე უფრო გვიან უთავდებოდა გაკვეთილები, მაგრამ სოსანა უცდალა: ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. სოსანა კარგათ სწავლობდა, პირველ შეგირდათ ითვლებოდა. მხოლოთ რუსულში ჯობნიდნენ სხვები, მაგრამ ერთ წელიწადს რუსულში ისე გაიმართა, რომ მეორე კლასში ამ საგანშიაც ველარავინ ჯობნიდა.

VII

ოთხმა წელმა გაიარა, რაც სოსანა გიმნაზიაში შევიდა. სოსანა

მეხუთე კლასში გადავიდა. სერგო მერვეში უნდა გადასულიყო, მაგრამ ავთომყოფობის გამო შეექვსე კლასში დარჩა და ახლა მეშვიდეში გადავიდა. გაუთავდა თუ არა სოსანას გამოცდა, დავითს გამოუცხადა: სოფელში უნდა წავიდეთ. დავითი დათანხმდა, რადგანაც ახლა სოსანა კარგა მოზრდილი იყო და მარტო მოკზაურობა შეეძლო. — მიიარ-მოიარე, დედ-მამა ნახე ჭ მარიამობისთვეში ჩამოდიო, უთხრა დავითმა: სოსანას სერგოს წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ეს ხუთი წელიწადი სახლის ამბავი აღარაფერი იცოდა, რაც ქალაქში ჩამოვიდა, ამიტომაც ველარ წაიყვანა. თითონაც არ იცოდა, როგორ მდგომარეობაში დაუხვდებოდა იქაურობა.

როდესაც მატარებელი დაიძრა და გასწია, სოსანას გაახსენდა ის დრო, ქალაქში რომ პირველათ მოდიოდა ამ ხუთი წლის წინეთ და „მარშინაში“ ჩაჯდომა ენატრებოდა... სამ საათს შემდეგ მატარებელი მივიდა იმ სადგურზე, სადაც სოსანა უნდა გადმომხტარიყო. სოსანამ დაისვენა, დუქანში საჭმელი ჭამა, ღამე იქ გაათია, მეორე დღეს დილაზე ადრე ადგა, იქირავა ცხენი და გასწია სოფლისაკენ. სამხრობისას სოსანა მიუახლოვდა თავის სოფელს. მის წინ გადაიშალა ძველებური სურათები. მოაგონდა თავისი წარსული, თავისი პატარაობა. აი ეკლესია გამოჩნდა: ისევ იმ გვარია, როგორიც დატოვა. ცოტა სამრეკლო შემოძველებია, კარი შემოცლია. აგერ მოსახლეებიც. აი იმათი ორ ღობე!... აგერ იმათი სახლიც ვაკვზე! ცოტა გამოცვლილა: წინეთ ყავრით იყო გადახურული; ახლა კი თავი გადაწითლებია: კრამიტით შეუხურავთ. წინეთ ოთახი არა ჰქონია მიღებული, ახლა კი დერეფნის ერთ გვერდზე პატარა ოთახი მიმატებია. სახლის დანახვაზე სოსანა სულ გამოიცვალა; ყოველი ფერი დაეიწყა; ისევ ის სოსანა ვახდა, რაც ამ ექვსი წლის წინეთ იყო. მაშინაც ხომ ამ დროს ბრუნდებოდა ხოლმე სახლში, მინდერიდან საქონელს მორეკდა!

— დმერთო, ყველა კარგათ დამახვედრეო, ბუტბუტებდა მალი მალ აღელვებული სოსანა.

თამარი ამ დროს კერასთან იჯდა და ტიროდა: სამი დღეა რაც საჩინო ქალაქიდან ჩამოვიდა და ცოლს გლახა ამბავი მოუტანა, სოსანა ქალაქიდან სადღაც წასულა და, სად არის, სად არა, აღარაეინ აღარ იცისო; ნაცნობებისათვის დაებარებია, მამაჩემი თუ აქ ჩამოვიდეს, ასე უთხარით, სახლში ნულარ მიმელიანო. საჩინომ ტყუილი მოიგონა. მაშ რა ექნა?! — ამ ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს დადიოდა ქალაქში, მაგრამ სოსანასი ვეღარა გაიგორა. რამდენსამე წელიწადს ატყუა თამარი: ენახე, კარგათ არის; ფული არ გამომატანა; აგროვებს და ერთათ გამოგზავნას აპირებსო. საჩინოს ეგონა, სოსანა თითონ ჩამოვა, ან მის ამბავს გაეიგებ საიდანმეო; მაგრამ ხუთმა წელმა გაიარა და სოსანა არც მიდიოდა, აღარც მისი ამბავი ისმოდა. თამარიც როგორღაც ექვეში შედიოდა. მაისში აუხარდა, წადი ქალაქში და თუ სოსანა არ ჩამომგვარე, აღარც შენ დამენახეო თვალითო; გლახა სიზმრებსა ეხედაეო. წამოვიდა საჩინო, უკანასკნელათ კიდევ სცადა ბედი, ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო. ან კი საიდან მიაგნებდა: სოსანას გამოცდა ჰქონდა, მეზუთე კლასში უნდა გადასულიყო და ამიტომ სულ სახლში იჯდა და მეცადინეობდა. ერთ დღილაზე საჩინომ ქუჩაში თვალი მოჰკრა ყმაწვილს, რომელიც სოსანას ძალიან ჰგავდა. თეთრი ხალათი ეცვა, შავი შალვარი; ქუღზე რაღაც ეკრა, ვერცხლივითა ბზინავდა; ხელში წიგნები ეჭირა და გაჩქარებული მიდიოდა. საჩინომ გასწია იმისკენ, მაგრამ, რომ მიუახლოვდა, იფიქრა, ჩემ სოსანას ეინ ჩააცმევდა ან ეინ დახურავდა ასე, ეს ვიღაც დიდი კაცის შვილსა ჰგავსო, და გამობრუნდა უკან. რამდენისამე დღის ძებნას შემდეგ დაბრუნდა სოფელში და გზაზე გადაწყვიტა, ცოლისათვის ეთქვა, სოსანა ქალაქში აღარ არის; სად წავიდა, აღარაეინ იცის; ასე დაუბარებია, სოფელში აღარ დაებრუნდებო. ამ გვარი ტყუილი საჩინომ იმიტომ მოიგონა, რომ სოსანა მართლაც ცოცხალი აღარ ეგონა ზ აღარც მის დაბრუნებას ელოდა; გარდა ამისა ქალაქში ყოველ წელიწადს ტყუილა ხეტიალს გადარჩებოდა. თქვენ თითონ იფიქრეთ, როგორ მოისმენდა თამარი საჩინო

ნოსაგან მოტანილ ამბავს. შამოიკრა თავში ხელი და ისეთი ტირილი დაიწყო, თითქოს მოკედლომოდეს ვინმე. შეშინებული მეზობლები მოცდნენ და, რომ გაიგეს, რაშიც იყო საქმე, ანუგეშეს, რა ეყუოთ, ქალო, ფულის მოსაგებათ წავიდოდა სადმე; მოგა, მაშ რას იზამსო, აქ ნაცარში რომ მოგიჯდეს, რაში გაიმებო და სხვა..

საჩინო დერეფანში იჯდა და უღელსა თლიდა. ცხენის ფეხის ხმა რომ მოესმა, მოიხედა და, რა „კაკარტიანი“ დაინახა, იფიქრა, ჩინონიკი ვინმე იქნება; თუ რამეს წამართმევს, თორემ არას მომიტანსო, ჩაიწყველა თავისი გაჩენის დღე ზე ისევე უღლის თლას შეუღვა.

სოსანა ეზოში შევიდა, ჩამოხტა ცხენიდან, დერეფნიდან მურიცა წამოხტა და გამოექანა ყუფით. საჩინო წამოვარდა და ძაღლს გაუჯაერდა.

— მამაჩემო! წამოიძახა სოსანამ და, სანამ საჩინო გონს მოვიდოდა, მოეხვია და კოცნა დაუწყო. საჩინო გაცემული იდგა, პატარა ბავშვით მიეშვირა ლოყა და აკოცნიებდა.

— დედა სად არის? იკითხა უცებ სინარულისაგან ალღელებულმა სოსანამ, მოიხადა ქული და ოფლის წმენდა დაიწყო.

საჩინო ჩააჩერდა თვალებში და წამოიძახა:

— სოსანა, შეილო! და სანამ პასუხს მიიღებდა, გულში ჩაიკრა. მეტმა სინარულმა მუხლები მოკვეცა, ჩამოჯდა იქვე დერეფნის საძირკველზე, მოისევა შეილი გვერდით; შეცქეროდა თვალებში და ტრემლები ღელესავეით მოდიოდა.

— თამარო, გამოიხედე, ადამიანო, გარეთ: სოსანა მოვიდა! დაიძახა ბოლოს საჩინომ.

სოსანას სახელის გაგონებაზე თამარი გიჟინით წამოხტა ზეზე, გამოვიდა გარეთ და დაიძახა:

— რაო, სოსანა მოვიდაო?

— დედილო! წამოიძახა სოსანამ.

— შეილო! დაიკვივლა თამარმა და ორივე დედაშვილი ავრთმა-

ნეთს გადაეხვიენ.





თამარმა ჩაისვა სოსანა კალთაში, თითქო ისეც ის პატარა სოსანა ყოფილიყო, ქალაქს რომ გაისტუმრა, და დაუწყო აღერსი:

— ჩემი შავი ბიჭი! რამხელა გაზდილა! როგორ გამოცვლილა, გათეთრებულა! უღვაშები ამწვანებია!...

სოსანას, ცოტა არ იყო, ეჩოთირებოდა კალთაში ჯდომა, მაგრამ იცოდა, რომ დედას იამებოდა, და წინააღმდეგობა აღარ გაუწყვია.

— აღამიანო, ნუ შეაწუხებ ახლა! ეუბნებოდა საჩინო, თან სოსანას ქუდს მისჩგრებოდა და უკვირდა: ე ბზიალა რაღა არის, რათუნდა, ნეტავი, რომ მიუკრავსო.

— სოსანა, ე ქუდზე რა მიგიკრავს? ველარ მოითმინა მან დაჰკითხა.

— მაგის ამბავს რომ მოგიყვებ, მალე ვერ გაეთავებ. მიუგოსოსანამ.

— შეილო, სად წახვედი ქალაქიდან, რომ დაგვიბარე, ჩემ ჩამოსვლას ნულარ ფიქრობთო? დაეკითხა თამარი საყვედურის კილოთი.

საჩინო ცოტა შეკრთა, ცმუტური და ზურგის ფხანა დაიწყო.

— მე არსად წავსულვარ! ეს ხუთი წელიწადია, სულ ქალაქში ვარ. არც არაფერი დამიბარებია თქვენთვის. ვის დავებარებდი: რაც, აქედან წავედი, მამა ჩემი აღარ მინახავს!

გაოცებული თამარი საჩინოს მიაჩერდა.

საჩინომ იფიქრა, ახლა რაღა მაქვს დასამალავი, და ყოველიფერში გამოტყდა. თამარი და სოსანა გაჩუმებული უსმენდენ; მხოლოთ სოსანა ხანდახან გაიღიმებდა ხოლმე. თამარი კი ხშირათ გულში ხელს იბრაგუნებდა და იძახოდა: დედა, დედაო!

— შენ ქრისტიანი კი არა, ურჯულო ყოფილხარ, უნათლაეი! მიაძახა თამარმა, როცა საჩინომ თავისი თავგადასავალი გაათავა.— არა, შეილს ვერსად მიაგენ, დაკარგული გეგულებოდა და რაღა პირით მოდიოდი ჩემთან?

— მა რა მექნა, აღამიანო, თავს ხომ ვერ მოგიკლავდი!

— მაშ რა გქნა? გამოესარჩლა სოსანაც. — ახლა მე მოგიყვებით ჩემ თავგადასავალს! განაგრძო სოსანამ და მოუყვა თავის ამბავს. საჩინოსა და თამარს მისი ლაპარაკის დროს სახეზე თანდათან მეტი განკვირება და თან სიხარული ეხატებოდათ; შეიღს თვალებს აღარ აშორებდენ; ხანდახან — ღმერთოვო, წაიდუღუნებდენ ორივე ერთად და ისევე სოსანას მიაჩერდებოდენ. როცა სოსანამ დააბოლოვა: — ქულზე ეს ბზილა მიტომ მაკრავს, რომ გიმნაზიაში ვარ, მეხუთე კლასშიო, თამარმა და საჩინომ მეტის გაოცებით თვალები გააშტერეს, პირი დააღეს; რა ეთქვათ, აღარ იცოდენ.

— დედა-დედა! ჩაიკრა საჩინომ გულში ხელი და თავი გააქნია. — აკი დაგინახე ერთ დილას, ამ მანში რომ ქალაქში ვიყავი, მაგრამ ე დიდკაცური ტანისამოსი რომ გეცვა, ვიფიქრე, სოსანას ვინ აღირსებდა მეთქი, და ველარ მოვბედე.

მალე მოვიდენ სოსანას ძმები და დები. ზოგმა ღორები მორეკა, ზოგმა საქონელი, ზოგმა ცხვრები... სოსანას განზე დაუწყეს ყურება; ვერც ერთმა ვერ იცნო. ან კი რაობით იცნობდენ: სოსანა აღარც კი ახსოვდათ! ყველაზე უმცროსი, მელიკო, სამი წლისა იყო, სოსანას ქალაქს ყოფნაში დაიბადა. პეტრეს და მაშიკოს სულ ცოტათი ახსოვდათ. დანარჩენებმა მხოლოდ ის იცოდენ, ჩვენი ერთი ძამია ქალაქს არისო, და მეტი არაფერი. სოსანამ დაუძახა ყველას, მოეფერა, დაჰკოცნა. მელიკო სოსანას კოცნაზე დაიფშხალა, ტირილი მორთო და, რა თავი გაითავისუფლა, ბაჯბაჯით გარეთ გავარდა.

— რა ღირსი ხარ მაგის ღობისა და მაგის კოცნისა! მიაძახა თამარმა.

იმაზე უფროსი, პეპელა, რომელსაც მკათხველი უკვე იცნობს, სიცილით უკან გამოუდგა მელიკოს.

— ვინ აღი ისი? ბურღლუნით დაეკითხა პეპელას მელიკო.

— ქალბქელი ძამია არი, გოგო! ჩამოსულა! სიცილით მიუკო პეპელამ და თავში სილა წაჰკრა, თითქოს ამით უფრო დააჯერებდა მელიკოს დედ-მამაც, და-ძმებიც ხშირათ ეუბნებოდენ, ქალბქ-

ში ძამია გყავსო, და მელიკოს მისი ნახვა ძალიან ენატრებოდა.

— ქალაქელი ძამია ალი? გაიკვირა მელიამ, აეკრა კედელს, წამოვიდა ნელა-ნელა, მოვიდა კუნჭულამდის, იქ მიიკრუნჩხა; კუსათით წამოიგძელებდა კისერს, წამოჰყოფდა თავს და შეაჩერდებოდა სოსანას; როცა სოსანა იმისაკენ მიიხედავდა, ისევე მიიმალებოდა... რამდენსამე დღეს შემდეგ მელიკოც სხვა დამძებსავეთ მიეჩვია ქალაქელ ძამიას, ჯერ გაეთამაშა, შემდეგ კალთაში ჩაუჯდა, ბოლოს თმის მოწვევაც დაუწყო.

— კაცო, ი ჩინოენიკი ვინ ეჭტუმრა საჩინოსა, ფენ რომ აღარ იცვლის? ეკიზნებოდა მეორე დღეს იმავე სოფლის გლეხი საჩინოს მეზობელს.

— შეილია მისი, ადამიანო, სოსანაი! ქალაქში მოსამსახურეთ წაიყვანა. იქ ვილაც ლევროზია გამოჩენია; აი მადლიანი კაცი ისა ყოფილა! კაი თვალზე დაუნახამ, ი ლოცვა ნაკურთხსა: შეილივით მაულია! შენ მოსამსახურე კი არა, იმითანა კაცი უნდა გამოგიყვანო, რო თელ ეროპიაში მეორე აღარავინ იყოსო. ახლა თავი ხარჯზე ზდის თურმე, ი ლეთიჰგან კურთხეული, მია!

— დახე, დახე! და, და, და!... უფალი დიდია, მისი მუხლი კიმიე! ალალ-მართალი კაცია საჩინო და როდი დაადგებს.

მთელ სოფელს სოსანას მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდა რა. ხმა დაეარდა, საჩინოს შეილი დიდათ დაჯილდოვებული ჩამოუყვიდაო, ყველა ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა; ვინც იცნობდა, ზ არ იცნობდა, ყველა სანახავათ მოდიოდნენ. საბრალო სოსანას მთელი ერთი კვირა მოსვენება არა ჰქონდა. ყველას უფრო ის უკვირდა, ქულზე რომ რალაც ბზილა ეკრა, და, სახლში რომ ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: — ადამიანო, „ჩინი“ მიუტიათო.


— უთუოთ ვერცხლისა იქნება! ამბობდა ერთი.

— მა რა, უბრალოს ხომ არ მისცემდენ! მე გეტყვი, ვერ იზოვიდენ! ვერ უყურებდი, როგორა ბზინავდა? უპასუხებდა მეორე...

სოსანა ორი თვე ღარჩა სახლში და მარიამობისთვეში ქალაქში დაბრუნდა. ამას შემდეგ ის ყოველ ზაფხულს მოდიოდა ხოლმე სახლში. ერთხელ სერგოც ჰყავდა. თუმცა სახლში ღარიბათ იყო, მაგრამ იცოდა, რომ სიმდიდრე და სიღარიბე ძმები არიან, და არ თაკილობდა რომ ღარიბი გლეხის შვილი იყო. სოსანა ახლა მერვე კლასშია. წელს ათაეებს სწავლას. პირველ შაგირდათ ითვლება. სწავლის გათაეებას შემდეგ უნივერსიტეტში აპირებს წასვლას. სერგოც კი გიმნაზია კარგი ხანია, რაც გაათავა, და ახლა უნივერსიტეტში სწავლობს. ამ ერთ წელს შემდეგ სერგო და სოსანა უნივერსიტეტშია ც ერთათ იქნებიან.

განო.





ჭ ე ჯ ი ლ ი.


ზ

იდებულ მნათობს გაფხენდით
 მიტოვებული შვილები,
 გულ-ცივი ყინვა-თოვლისგან
 თვალზე ცრემლ-მოდენილები.

გამოეშურა ჩვენსკენა,
 დაატრიალა ჩარხია,
 ცივ-ზეწარს ტყორცნა სხივები
 და სულ ერთიან დაჰხია!

გამოჩნდა პირი ქვეყნისა,
 დაჰბერა თფილმა ნიაგმა,
 თაფი ამოჰყო მიწიდან
 კოჩეტამ, ტურთა იამა

და სუნი ეცა პეპელას
 ყვაეილის, ნაზათ შლილისა,
 გამოიფხიზლა, გასწია
 მან საწუწნელათ ტკბილისა.



გამოყვავილდა ბუჩქ-ველიც,
მწვანეთ ბიზინებს მოლია;
შეხედეთ ყვავილს — სამყურა
რა ნაზათ გადასწოლია!..

—

აბა, უყურეთ ჯეჯილსაც,
ტურფასა, მალხაზ-ცქრიალას,
როგორ შეჭარის მნათობსა
სხივ-მოციმციმეს, ბრჭყვიალას!..

—

დღეს ძარღვ-გამთბარი ზამთარსა
არ შეუშინდა მწარესა:
ხანგრძლივი შრომის ნაყოფი
აშვენებს არე-მარესა.

—

ხავერდის ფერათ ლალანებს,
იზრდება თვალის წამასა —
გულის გაუხარებს მუშასა —
წერილი შეიღების მამასა.

—

ზეცა მას წყალობს ცვარ-ნამით,
დაცქერის კაი თვალითა,
უნდა დაატკბოს ქვეყანა
კეთილი მოსაგალითა.

—

გაძლება ქერივი, ობოლი,
ხელმწიფე, ღვდელი, ერია;
არც დაელევა ბაღლებსა
ხელში თფილ-თფილი კვერა!

დ. თამაშვილი.



ა ბ რ ე შ უ შ ე ი.



ის არ გინახავთ, ჰაწია მკითხველებო, აბრეშუმის ქსოვილები? შლახების ლამაზ ლენტს, ძვირფას თეთრ ან ფერად თავშლებს, სარტყლებს, „ფარჩის კაბებს“ და სხვ. აბრეშუმისაგან ქსოვენ; მაგრამ ეს აბრეშუმი საიდან გაჩნდა? როგორ აკეთებენ? მკონი სი-

ცილობთაც არ გეუთ, რომ ვინმემ გითხრათ: აბრეშუმი მიწისა, ჭაერისა და წელისაგან კეთდებაო?! მასხარობათ ჩათვლიდით ამას და იტყოდით: „წული და მიწა რომ აურიოთ, სომ ტალახი გაკეთდება და ჭაერი მარტო განშრობს, განამაგრებს, და არა აბრეშუმით აქცევსო!“ მაგრამ, ჯერ მომისმინეთ რა გინახობთ.

მიწაში ჩავარდა ჰაწაწკინტელა მარცვალი, გამოიღო ძაფის სიმსნო ფესვი და დაიწყო ნელა-ნელა ზრდა. ხარბათ დაუწყო სრუტვა დედამიწის, წელისა და ჭაერის საზრდოს და თან-და-თან გაიმაგრა ზემოთ აურილი ტანი, ძირს ნორჩი ფესვები და შემოისხა ტოტები. ტოტებმა მოისხეს მწვანე ფოთლები და ოდნავ შესამჩნევი უვავილები, რომლებიც ბოლოს ტკბილ ნაყოფათ გადაიქცენ.

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო

გარეთ კანს ქვეშ გადაეკრა ამ ხის ტანს დაზლიანი აპწკა, ხახვის ფურცელივით თხელი კანი...

გაჩნდა მეორე ჟიჟმატა მარცვალის. გარედან ამ მარცვალს მაგარი ნაჭუჭი აკრავს, შიგნით კი რბილია. ეს არის ჰატარა მწერის კვერცხი, ანუ თესლი. გაათბო ეს კვერცხი მზის სხივმა და რამდენსამე დღეს შემდეგ გაჩნდა მატლი, რომელიც კვერცხში მოკუნჭული წევს. მოწეინდა მატლს ვიწროთ უოფნა, შიშხილმაც ძალა დაატანა და გარეთ გამოიწია. მაგრამ გამოსვლა არ უნდა? როგორ უნდა გამოატანოს ამ მაგარ ნაჭუჭს?

გაჩენისათანავე მატლს დაჭევა ორი მაგარი ება, მოდგა ამ ებებითა და დაუწყო ღრღნა ნაჭუჭს, გაიკეთა ჰაწაწა ჭუჭრუტანა და დაინახა სინათლე. საშინლათ იამა ბნელაში მყოფ ჭიას დღის სინათლე და მოთმინებით განაგრძო მუშაობა. შუა დღის ხანს იმდენათ გაიგანიერა ჭუჭრუტანა, რომ შეიძლო იქიდან თავისუფლათ გამოძრომა. გამოვიდა ჭიანჭველას ტოლა ძავი გამურული ჭია, გაიჭიმა სითბოზე, საამო ჰაერზე და დაუწყო ძებნა საჭმელს.

ერთი ნამკეკა წვეილი თვალებით დაინახა იმან ჩვენი ნაცნობი ნორჩი ხის ფოთლები და გაეშურა იმისაკენ. ჭიას გამოჭევა 16 ფესი; 6 წინ და 10 უკან. აი ამ ფესებით აცოცდა ის ფოთოლზე და მიჭყო ჰირი კემრიელი საუხმის ჭამას.

ეს იყო აბრეშუმის ჭია, ანუ მური, და ის მცენარე — თუთის ხე.

შეუდგა მური დღე და ღამ განუწევეტლივ ჭამას. ჭხრავს და ჭხრავს გულმოდგინეთ თუთის ფოთლებს. ხან ერთ ფოთოლს დააცხავენ, ხან მეორეს, მაგრამ თუთის ხის ტოტებსაც არ მინავთ ამ დროს: იძლება და იძლება მათზე ფოთოლი ფოთოლზე, ასე რომ ჩვენ ჭიას ფიქრი არა აქვს, საჭმელი არ შემოაკლდება.

ბევრი ჭამისაგან ჭია წამოიხარდა და კანი თანდათან შეუვიწროვდა, გადაეჭმა, ხუთ-ექვს დღეს შემდეგ ჭია მოდუნდა, დახანტდა, ფერი ეცვალა, ჩამოხმა, ჩამოჭლექდა, დახორავიჭდა და თითქო სასიკვდილოთ ემხადებოდა. მაგრამ უცებ კანი გაუსკდა და ჭიამ გაიხადა ეს ვიწრო, ძველი ტანისამოსი. გაიძრო ტუავი, მაგრამ ტიტველა კი არ დარჩენილა: ის შიგნით სხვა სამოსლით შეიმოსა. ეს ტანისამოსი უწინდელზე უფრო ლამაზი, ახალი და ხალვათია.

გახარებული ჭია იღვიძებს, მოცოცხლდება და ისევ თავის მუცელს ჩასტირის. ახლა უფრო მეტი სინჯობითა ჭამს და ჭამს, იზრდება და იზრდება, ხანამ ახალი ტანისამოსი ისევ არ დაუვიწროვდება, კანი გადაეჭიმება და გამოეცვლება. ამ გვარათ ის ავით ხდება, იძინებს და იძრობს ტუავს ოთხჯერ. ამასობაში ჰაწაწა თესლიდან გამოსული ნამკეკა მური, 6 — 7 კვირის შემდეგ, ნეკის სიმსხო თეთრ ჭიათა ხდება.

თუთის ფოთლის წვენისაგან მის სსეულში მოძსადღა სსვა და სსვა მასალა, რომელშიაც ურევათ ობობას ქსელის მსგავსი უვითელი ან თეთრი ნივთიერება. ამ ნივთიერებას იღებს ის ჰირიდან წმინდა ძაფებათ, მოიმაგრებს რამეზე უკანა ათ ფებს და რაიმე მცენარის ღეროზე (ცა-სზე) გააბ-გამობავს ქსელს; თითონ შიგ ქსელში მოექცევა, იქნევს თავს აქეთ იქით, იხვევს გორვალივით თავის გარშემო მუცლიდან ამოღებულ ძაფს. მთელი ერთი კვირა დღე-ღამ განუწვევტლივ იკლაკნება ჭია, აწვევტს თავს აქეთ-იქით და არც ერთხელ არ გაწვევტს ხანათ ბეწვს ასეთი ხელოვანი ფეიქარი გამოვიდა ერთი ბეწვა მური. აკურ 5—6 დღეა ჭია აღარა ჩანს; ის მოექცა ჰარკში, როგორც ბნელ სენაკში და მუშაობს ერთგულათ. მეორე დღეს დაამთავრებს კვერცხივით მოუვანილ თეთრ-უვითელ ფერის ჰარკს.


ჰარკის გარეთი ჰირი წარმოადგენს დახლართულ და მიძხვეულ, ხოლო შიგნით სწორეთ დახვეულ ძაფს, რომელიც თითქმის ას-ოც-და-ცხრა (129) საყენის სიგრძე გამოდის.

ჩვენი ფეიქარი ახლა მოღალულ-მოქანცულია და უნდა დანივენოს. ხუმრობა საქმეა! თვე-ნახევარს დღე და ღამ ხარბათა ჭამდა, ოთხჯერ კუდამდის ტეავი გაძვრა, რვა დღე და ღამე საცოდავით თავს აქეთ იქით აწვევტდა; ამდენი იჯაფავა, ამდენი ძაფი დაართა, დაახვია და ახლაც



არ მოისვენოს! უკანასკნელათ ერთს კიდევ ახლა გაიხდის თავის სამუშაო ტანისამოსს, სენაკში გამომწვევდელს ამას იქით ფეხები რაღათ უნდა, სად უნდა წავიდეს! მისმა თვალებმა ამ ბნელეთში რაღა უნდა დაინახოს? მის ებებსაც ამას შემდეგ მუშაობა აღარ მოეღის და ამიტომ უველა ამაებს იმორებს ჭია თავიდან. დაწვობს თავის ძველ ტუბ-ჭუჭსთან ფეხებს, თვალებს, ებებს როგორც მუშა კაცი დღესასწაულის წინა დღით თავის სამუშაო იარაღებს და ჭუჭუიან ტანისამოსს და წამოწვება დასასვენებლათ.

რბილი ტყავი წოლისაგან თანდათან უმაკრდება. გარემო უკუნეთია. არსადღვან სენაკში ჭაერი არ შედის და გღია უთაკ-უენო, უცხვირ-პირო, უთვალ-უურო ჭია უძრავათ, როგორც ძველარი კუბოში. ასე გავიდა ორი კვირა. უსძელ-უჭმელი და უჭაერო ჭია ამდენი ხანი კიდევ მოკვდებოდა ჰარკში!. მაგრამ დაცა... შესედე... აკერ ჰარკის ერთი წვერი იხვრიტება და შიგ რაღაც ჩუჩუნებს. ცოტა ხანს შემდეგ იქიდან გამომდრა... იცით რა? — ლამაზი თეთრი ჰეპელა. წვეილი დიდრონი თვალები, თავსე ქოჩორი, პირისახეზე ვაჟკაცურათ გადაწვობილი ულვაშები, ნაბადივით წამოსხმული ორი განიერი ფრთა, ექვსი მარდი ფეხები, მუცელზე სქლათ მოდებული ბუსუსები აძვენებენ მის შესედულობას. ის მარდათ დაცქრიალებს, მისუბუქ ფრთებს აფრიალებს და რაღაც მოუსვენრობაშია. ჩანს, უნდა დასტკბეს მზის სსივ ქვეშ თბილ ჭაერზე. დიან, ჩვენი ჭია



ზარკში ჰეპელათ იქცა; მაგრამ როგორ გათავისუფლდა ამ ტყვეობიდან? რა გზით გამოვიდა ამ ჯურღმულიდან? მისი ფეხები მეტათ სუსტია, კბილები სრულიადაც არა აქვს, რომ დაეწვიტა, ან გადაეღრღნა ამდენი ძაფები; ენა აქვს ძაგჭამ იმითი მას მსოფლიო ევაზილების ტკბილი წვენი წუწვნა შეუძლია, სხვა არაფერი. შეუბრალებლათ უნდა ჩა-
პკედარიყო თავისავე აშენებულ სატუსალოში, თუ რომ სხვა საშუალება არა ჰქონოდა თავის დასხნისა. ჭიამ მუცელში მომხადებული სითხის რამდენიმე წვეთისაგან ამოასხვია ძა-
ფი და გააკეთა ზარკი, მაგრამ მის მუცელში დარჩა კიდევ სხვა თხელი ნივთიერება. აი ამითი ალბობს ის და წევეტს ზარკის ძაფებს. იკეთებს გამოსასვლელ გზას და იქიდან გამოდის ჰეპელა.

ის ზარკი, რომლიდანაც ჰეპელა გამოდის, ძაფათ აღარ ამოიხვევა, რადგანაც ძაფები დაჭრილია. ამიტომ ზარკებს წინათვე ცხარე მზის გულზე ახმობენ, ან ცხელი წელის ორთქლით ჰხოცვენ შიგ მყოფ ჭიებს, სანამ ისინი ჯერ ჰეპელებათ არ ქცეულან.


ზოკიერთ ჰეპელებს აძლევენ თავისუფლებას, ზარკი-
დან გამოსვლის ნებას, რომ ისინი დატკებენ დღის სინათ-
ლით და დაჭუარონ კვერცხები.

დედალი ჰეპელა დებს 300—500 (სამასიდან ხუთა-
სამდე) კვერცხებს, რომლებსაც მეორე წლისათვის ანახა-
ვენ, რომ ახალი ჭიები გამოიუფანონ. დახოცილი ჭიების

ზარკებს ამოახვევენ ძაფათ, ღებავენ სხვადასხვა ფერებათ და ჭქსოვენ იმათგან სხვადასხვა შენეირსა და ძვირფას ქსოვილებს: ცხვირსახოცებს, ლენტებს, „ბაღდადებს“, ფარჩეულობას და ვინ მოთულის კიდევ რამდენ რასმე.

როგორც ვაიკეთ, აბრეშუმი გაჩნდა ჭიის მუცელში. მუოფ ნივთიერებისაგან! ეს ნივთიერება მომზადდა თუთის ფურცლებას წვეინსაგან; თუთის ხე გაჩნდა მიწისა, ჭაერისა და წულისაგან. მამ აბრეშუმეულის ტანისამოსი კეთდება წულისა, მიწისა და ჭაერისაგან ორი ნამკეკა მარცვლის შემწეობით, ე. ი. თუთის ხისა და აბრეშუმის ჭიის თესლებიდან...

თეოფ. კანდელაკი.



ბავში და გულუვითელა.

(ზღაპარი კ. სტანიუკოვიჩისა.)



მემოდგომა გადიოდა .ამწელს არა ჩვეულებრივი სიცივე იყო კრიმში, ამისთანა შემოდგომა დიდი ხანია არავის ახსოვდა.

ფოთლები უცბათ ყვითლდებოდა და ცვიოდა, ალაგ-ალაგ ამ ფოთლებისაგან გორაკები კეთდებოდა, თითქოს გაცხარებულ ომს შემდეგ მკედრების ხროვა დგასო, ეარდები ჭკნებოდენ ბებრის ლოყებივით, ბევრი კოკრები ისევ გაუშლილი დარჩენილიყვენ და თავის შეენიერებით აღარავენ მოჰყავდათ აღტაცებაში, ესენი გრძობდენ თავის უდროვო სიკვდილს.

მკაცრმა და ცივმა ზენაქარმა მთები შესუღრა თოვლით და დათარეშობდა ზღვაზე.

მზე იშვიათათ თუ გამოჩნდებოდა; ჩაბნელებულ ღრუბლებიდან ერთ წამს გამოიჭვრეტდა, გააბრჭყვიალებდა თოვლს, მიუაღერსებდა ხალხს და ისევ ჩაიმალებოდა რომ უფრო ფასი ჰქონოდა მის ალერსს.

*
*
*

ერთ ამისთანა დღეს ბავში დასეირნობდა დიდ ბაღში.

ის იყო საუზმე გაუთავებინა და თბილათ იყო ჩაცმული. ათი-თერთმეტი წლის თმა-ხუჭუჭა ყმაწვილი, ცქრილა და მხიარული, უღარდელათ დასტყენდა და ამ სასტიკ შემოდგომას მის გულში მუდამი გაზაფხული იყო. ყმაწვილმა სისწრაფით მოიბრძინა მთელი ბაღი და უცბათ, ერთ აივანში, დაინახა ხეზე მჯდომი ჩიტუნია.

ბავშმა დაუსტენია, მაგრამ ჩატი არ იძროდა! მივიდა ახლოს და ნახა ჩიტი მუქი ნაცრის ფერი ფრთებით და ყვითელი გულით. ისე უძრავათ მიმალულიყო ალვის ხის ხშირ ტოტებში, ნისკარტი ისე ჩაემალა ფრთებში, რომ ყმაწვილს ეგონა მკვდარი არისო.

ყმაწვილმა ფრთხილათ ხელი მოჰკიდა, ჩიტი ცივი იყო, მაგრამ კიდევ სუნთქავდა. ბავშმა გაათბო თავისი ორთქლით. მართალია, თათონაც ციოდა, მკაცრი ქარი პირდაპირ სახეში უბერავდა, ხელებს ულურჯებდა, მაგრამ ეს არას დასდევდა, ისე მოწადინე იყო სიკვდილისაგან გადერჩინა ჩიტი. ბოლოს ჩიტმა გაახილა ალერსიანი, ნაღვლიანი თვალები და გაკვირვებთ მიიხედ-მოიხედა. ჩიტი თავისი მუქი ფრთებით, ყვითელი გულით და ნაღვლიანი შეხედულობით ყმაწვილს ძალიან მოეწონა.

ბავშმა დაუწყო კოცნა—ალერსი, და ეუბნებოდა: სახლში წაგიყვან, ჩიტუნიავე, გულყვითელავე, ჩემთან შეგინახავ!

— წრიპ, წრიპ, წრიპ... მე კი არა მკითხავ, მინდა თუ არა შენთან ყოფნა? წრიპინებდა ჩატი თითქოს დაცინვით.

— მე შენ გაგიფთხილდები და შეგიყვარებ! უთხრა მედიდურათ ყმაწვილმა. მას თითქოს უკვირდა, რომ ჩიტი კმაყოფილი არ იყო საკვდილს რომ გადაარჩინეს და ფიქრობდა: „ჩიტები ყველანი სულელები არიან და არ იციან სიკეთის დაფასებოა“.

— შენ ძალიან კარგათ იქნები ჩემთან, დამიჯერე!

— ჭიკ, ჭიკ, ჭიკ... შეჭიკჭიკა ჩიტმა. პატარები ყოველთვის აგრე გვირდებიან, როდესაც დაგვიჭერენ, მერე კი... მერე...

ჩიტმა აღარ გაათავა, ნაღვლიანათ დაიწრიპინა თითქო მოაგონდა რალაც უსიამოვნო ამბავი.

— მერე რა? ჰკითხა ყმაწვილმა.

— შენ მე მაწვალე თუ ისეთი არ ვიქნები, როგორიც გინდა რომ ვიყო, ან მალე მოგაბეზრებ თავს.

თემოყვარე ბავშს ეწყინა ამისთანა უნდობლობა და საჩქაროთ მედიდურათ შეჰყვირა:

— ფიცს გაძლევ, ჩიტუნია, რომ მე არასოდეს არ დაგტანჯო, არასოდეს...

— ნუ ფიცულობ აგრე! სჯობია გამათბო, ზენაქარი საშინელი ცივია და მე სულელმა არ დაფუჯერე სხევებს და არ გაეფრინდი სამხრეთისაკენ. მეგონა რომ ეთფილებოდა... მამალი ჩიტიც ბევრს შეუბნებოდა და თითონ...

— მერე!

— მერე და ორიოდ დღეა, რაც ჩუმად გაფრინდა სამხრეთისკენ.

— რა საძაგელი ყოფილა! გადაჭრით თქვა ყმაწვილმა.

— დიდი ხანია მე ავითმყოფობ, სულ მცივა, ალბათ იფიქრა, მგზავრობას ვერ აიტანსო! თქვა გამოსარჩლებით ჩიტმა.

— ყვ უფრო საძაგლობაა... განა უბედურობის დროს ამხანაგს დატოვებენ..

ბავში ახლა ერთი ორათ მეტად შეიბრალა მიტოვებული ჩიტუნია და მთელი გზა სულ იმის დამტკიცებაში იყო, რომ კარგი ყმაწვილია, არა გავს იმად, ვისაც უყვართ ჩიტების ბუდეების დანგრევა; არც იკადრებს თავისდღეში, პატარა უღონო არსებას აწყენინოს. ბუზებს რა არი, იმათაც კი ფრთებს არა ჰგლეჯს...

ის ისე გულწრფელად, ლაპარაკობდა, ისე ალერსიანად ჩასცქეროდა ჩიტს თვლებში, რომ შეუძლებელი იყო ჩიტუნიას ამ პატარა კაცის სიტყვები არ დაეჯერებინა. გამთფარი ბავშვის ორთქლით ჩიტუნია მოსულიერდა, გამხიარულდა და ნდობით მოჰყვა ჟღერტულს.

თითქოს განგებ ამავე დროს მზემ გამოაშუქა, თავისი სწივებით გაათბო ჩიტუნიას მუქი ფრთები და ყვითელი გული და იქამდის მივიდა რომ იმედებიც გაუჩაღა გულში.

მადლობის ნიშნად თავისი პატარა ნისკარტა დაჰკრა ყმაწვილს ზელზე და კეკლუცათ ჩაიჭაკჭიკა; მერე ამაყად დასძანა:

— წრიბ, წრიბ!.. მე მჯერა ყველაფერი, ყმაწვილო!

— აგრე, აგრე! კმაყოფილებით თქვა ყმაწვილმა და ჩატი შეი-

ყვანა სახლში. მაშინვე უშოვნა წყალი, მარცვალნი და მწვანე ფოთ-
 ლები თავის ახალ მეკობარ „გულყვითელას“.

*
 * *

გაიარა რამდენიმე დღემ.

ყმაწვილს ძალიან შეუყვარდა გულყვითელა და სვინიდი-
 რათაც უყვლიდა. გალია შეენიერათ მოუწყო და არც ჩაკეტილში
 ჰყავდა, ისე რომ ჩიტს შეეძლო თავისუფლათ ფრენა ოთახში, რომ-
 ლის ფანჯარაზე ბლომათ ყვავილები ელაგა. ყოველ დილას თავისი
 ხელით წმენდდა გალიას, უცვლიდა წყალს, მარცვალს უყრიდა,
 უზიდავდა ბუზებს, შოულობდა ჭიებს და აჭმევდა თავის საყვარელ
 ჩიტს. მთელ დროს ზავში ამას ანდომებდა და ისე შეიჩვია, რომ
 გულყვითელა მხარზე აჯდებოდა, კენკავდა იმის ხელზე შაქარს,
 მხიარულათ ქლურტულებდა და, როდესაც ყმაწვილს დედა გაუჯავრ-
 დებოდა და ის ნაღვლიანი, ნამტირალევი ოთახში შევიდოდა, გულყვი-
 თელა დაჯდებოდა მის ხელზე, ნისკარტს მიუსვ-მოაუსვამდა, ალერ-
 სით შეაქქვრდებოდა და დაიწრიპინებდა:

— ნუ ტირი, ყმაწვილო, დედა მალე მოგიალერსებს, მიდი მას-
 თან, მოეხეიე. ის გაპატიებს, რადგან უყვარხარ.

ყმაწვილი უჯერებდა, მიდიოდა დედანთან და მერე მხიარული
 ბრუნდებოდა.

— ჰკვიანო გულყვითელაე, მართალი მითხარი, დედამ მაპატია...
 წამ და უწუმ მხიარულათ ვალერსებოდა გულყვითელას და თან
 ეუბნებოდა.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ, გულყვითელაე. ტყუილათ კი არ
 გადაგარჩინე გაყინვას. ხომ ხედავ, არ გაწვალებ!

გულყვითელა ალერსიანათ ქლურტულებდა და ზოგჯერ გა-
 კვირვებით გადახედავდა ყმაწვილს, თითქოს უნდოდა ეთქვა:

— რა საკვირველი ყმაწვილი ყოფილა! მგონი ვუყვარვარ და ჯერ
 არც მაწვალებს, ვნახოთ როდემდის?

ასე ფიქრობდა გულყვითელა თავისთვის და არას ამბობდა, რა-
ლასაც ელოდებოდა...

მართლაც, დიდხანს არ მოუხდა ლოდინი.

* *

ყმაწვილი ექვანი და ამიტომაც ძალიან ბოროტი იყო.

თავის თავს გულყვითელას მხსნელათ თვლიდა, უყვარდა ის და
ფიქრობდა, რომ ჩიტიც მისი უსაზღვრო ერთგული უნდა ყოფილი-
ყო და მხოლოდ ის უნდა ყვარებოდა.

გულყვითელას მხრივ მართა მადლობა არაფრათ მიაჩნდა, ეგო-
ნა რომ ჩიტი ისე დავალებული იყო მისგან, რომ სხვა არაფერი არ
უნდა ხსოვნებოდა გარდა მადლობის გადახდისა, ყმაწვილს უნდოდა
რომ ჩიტს მუდამ ექიკტიკნა სამადლობელი.

ბოლოს ჩიტს ყურს აღარ უგდებდა, სულ თავის სიამოვნებაზე
ფიქრობდა და დღეში რამდენჯერმე ჰკითხავდა:

— გულყვითელაე! გიყვარვარ?

— წრიზ—წრიზ - წრიზ! მიყვარხარ?

— ძალიან?..

გულყვითელა თუმცა პატარა ჩიტი იყო, ეშმაკობა საშინლათ
უყვარდა.

ბავშვს არ ვაწყენინო, ვულ ახლით არ ჰიკტიკებდა, ალერსს მო-
უკლო.

ყმაწვილს გული მოდიოდა და ამბობდა:

— მე შენ მიყვარხარ... შენზე ვზრუნავ და შენ კი საძაგელი,
უმადური ხარ. „აღარ გაათავებს“ ფიქრობდა გულყვითელა და თი-
თონაც თან და თან აღარ ჰიკტიკებდა, აღარც ისე ხშირათ შეაჯღე-
ბოდა ბავშვს მხარზე და ისე ნაღვლიანათ შეცქეროდა თვლებში, თი-
თქოს რაღასაც ცუდს მოეღოს იმისგანაო.

ყმაწვილი შეურაცყოფილათ თვლიდა თავის თავს. ებუტებოდა
გულყვითელას და ისე ექცეოდა, თითქოს ჩიტი ყურადღების ღირსი
აღარ იყო გამდელს მიანდო მისი მოვლა.

„დევ, სცადოს ბოროტმა ჩიტმა უჩემობა, ენახოთ რა დაემართება მე რომ ყური აღარ ვუგდო, ფიქრობდა ყმაწვილი.

ერთხელ ნახა ბავშმა რომ გულყვითელა გამდელს მხარზე უზის, სწორეთ ისე, როგორც ამის მხარზე იჯდა ხოლმე და სულაც ნაღველი არ ეტყობა. პირ იქით ნისკარტს უსვამდა გამდლის დამკვნარლოყას და ყურში რაღასაც უქღლურტულვებდა.

აშფოთდა ყმაწვილი და, როდესაც მართო დარჩენ ისა და გულყვითელა, უთხრა:

— შე უმაღურო ჩიტო! მე შენ გადაგარჩინე სიკვდილს, მიყვარხარ და შენ კი... გასწი აქედან... თვალით არ დამენახო!

და გააღო ფანჯარა.

გულყვითელამ ნაღვლიანათ შეხედა ყმაწვილს, მერე გაღებულ ფანჯარას, საიდანაც დაჰბერა ცივმა ქარმა, გაშალა ფრთები, თუმცა იცოდა რომ სიკვდილი მოელის და ერთი ნაღვლიანათ დაიწრიპინა:

— მშვიდობით, ბავშო, მადლობელი ვარ რომ გადამარჩინე სიკვდილს... მაგრამ სჯობდა არ გადაგერჩინე...

და ის იყო უნდა გაფრენილიყო, რომ ყმაწვილს შეებრალა და უთხრა:

— დარჩი, გულყვითელავ, მე შენ მიყვარხარ.

— მერე რათ მტანჯავ?


— აღარ გაწვალვებ... გეფიცები!

* * *

მაგრამ ფიცი არ აასრულა.

რადგან ჩიტი ხშირათ ნაღვლიანათ იჯდა ხოლმე გალიის ქანდარაზე, ყმაწვილს ეგონა, რომ აღრინდელივით აღარ ვუყვარვარ და არც მადლობა ახსოვსო. ბოროტი ჩიტი ყოფილა, მატყუარა და უმაღურიო! თან და თან ისე რწმუნდებოდა ამაში რომ დაუწყო დაცინვა და წვალვება გულყვითელას, ხან ფრთას გაუწვა-გამოუწყვედა, ხან ცივ წყალს გადაასხავდა, ხან კიდევ მუქაში მოიგდებდა.

გულყვითელა მწუხარებით ეკითხებოდა:



— რა დაგიშავე, რათა მტანჯავ, ყმაწვილო! შენ კეთილი ხარ, მაგრამ...

— გაჩუმდი, შე უმადურო...

გულყვითელა ითმენდა ხმა ამოუღებლივ, ფიქრობდა: ბოლოს მოგზნრდება და თავს დამანებებსო. გაზაფხულამდის როგორმე გაეძღვებ და მერე გაეფრინდებიო.

ყმაწვილი უფრო და უფრო აწვალვდა. ეგონა გულყვითელა დაიწყებს ბოდიშის მოხდას რომ ასეთ უმადურობას იჩენსო, მაგრამ ჩიტი ნალველს მიეცა და თითქოს ეშინოდა კიდევ ბავშვისა. და აი რა მოხდა ერთხელ.



ეს იყო ზამთარში, როდესაც გარშემო არე-მარე შეთოვლილი იყო.

პატარა ჩიტუნია გალიის მაგიერ ბამბით გატენილ კოლოფში ჩავსვა გამდვლს. იჯდა და თვლემდა, თან სიცვიისაგან თრთოდა.

უცბათ ყმაწვილი შემოვარდა ოთახში, მიიღბინა ჩიტთან და უთხრა:

— ვაიღვიძე! რას თვლემ ავრე?

— მცოცა.

— მე რომ მოწყენილი ვარ, იგალობე რამ.

— არ მინდა, რა მეგალობება, ახლა სულ იმას ვფიქრობ, თვლილ ქვეყნებში რა კარგი იქნება, ნეტავი იქ ვყოფილიყავ.

— ჩემზე კი არა ფიქრობ? ჰკითხა ყმაწვილმა.

— როგორ არა, ვფიქრობ, შენ ისეთივე ყოფილხარ, როგორიც სხვა ბავშვბი. აღრე მეგონა, რომ სხვებზე უკეთესი იქნებოდი.

— ახლა?

— ახლა ვფიქრობ რომ შენ სხვებსავეთ ბოროტი ხარ.

— შენ კიდევ მაყვედრი? მე შენ სიკვდილს გადაგარჩინე და შენ კი... შე საძაგელო... მატყუარავ... უმადურო...

გულყვითელა ხმას არ იღებდა და ამან უფრო გააბრაზა ყმაწვილი.

— მე შენ მიყვარდი და შენ ჩითი გადამიხადე სამაჯერო.

— შენ შენი თავი გიყვარდა ბავშო და არა მე... წაიქლურტულა ჩიტმა.

ამ სიტყვებმა უფრო ააშფოთეს და გააბოროტეს ყმაწვილი. იმას აღარ ახსოვდა რომ უღონო, სობრალო ჩიტთან ჰქონდა საქმე, ისეთ ნაწყენათ გრძნობდა თავს, რომ სიბრაზით შეჰყვირა:

— შენ ტყუი, ტყუი!...

და უცბათ საშინელება მოახდინა. სტაცა გულყვითელას ხელი, მოიგდო მუჭაში და რაც ძალა ჰქონდა მოუჭირა.

ჩიტმა დაიწრიბინა, ნალელიანათ გადახედა ყმაწვილს და გაჭიმა ფეხები.

როდესაც ყმაწვილი გონზე მოვიდა და გაიგო რომ თავასი საყვარელი ჩიტი დაახრჩო, საშინლათ აშფოთდა. მოიტაცა მკვდარი გულყვითელა, დაუწყო კოცნა და ამბობდა:

— გულყვითელავ, ადე, გაიღვიძე ჩემო კარგო.

გულყვითელა პასუხს არ იძლეოდა. ყმაწვილი სინანულით და ნალელით ტიროდა და ქვითინებდა.

* * *

ამ დროს ყმაწვილის დედა შემოვიდა ოთახში და რომ ნახა მკვდარი ჩიტუნია, თავი გადქნია და ნალელიანათ თქვა:

— შენ არ ამბობდი რომ გიყვარს გულყვითელა, მერე რა უყავ... სიყვარული ტანჯვა კი არ არი— პატიობაა... შენ არ გყვარებია გულყვითელა.

უიმისოთაც აღელვებულ ყმაწვილს შიგ გულში მოხედა ეს სიტყვები.

— დედა... დედა... მართალი არ არი... მოძისმინე... მე ის მიყვარდა, იმას კი... ოჰ! ეს რა ექენი! ამბობდა ქვითინით ბავში.

იმ საღამოს ბავში ავით გახდა და პოღეაში ერთ და იმავეს იმეორებდა.

— გულყვითელავ, გაიღვიძე... მე შენ მიყვარხარ...

ერთი კვირა ყმაწვილი ცოცხალ-მკვდარი იყო. ახალგაზდა დედა უჯდა ყმაწვილს თავ-ქვეშ და თავს დასტიროდა. მორჩენის იმედს ხან სულ ეკარგებოდა, ხან ისევ უბრუნდებოდა.

ბოლოს სიცოცხლემ აჯობა, ბავში კარგათ გახდა.



ცოცხალი ქვა.

(რუსულად.)

ერთ ტეიან კვასე მე და დედა ჩემი სწრაფათ მივაქროლებდით ეტლს. ყოველი სულდგმული მოძრაობაში იყო, ათასნაირი ბზუილ-ჭიკჭიკი გაისმოდა ირგვლივ; გუგულის სიცვილ-სითხითი, ბუღბუღის სტყენა-გალობა, მოლადურის „ბიჭო გოგია“, შოშიების და მერცხლების ტკბილი ჭიკჭიკი, ერთი ერთმანეთში არეული, სწორეთ სასიამოვნო ტკბილ მუსიკასა-ებ მოესმოდა ჩვენ უურებს. არც ერთი ფრინველი ურადლებას არ აქცევდა ჩვენ მეეტლე ანტონას, რომელიც კალობის მასწავლებელსაებ ატკაცუნებდა თავის მათრახს.

მე ხშირათ შევხატებოდი ხოლმე ეტლში, რომ დამეჭირა რომელიმე ლამაზი მწერი ან მომეწევიტა ჩემთვის უცნობი ყვავილი. ერთი სიტყვით, ჩემ ფიქრში ვებრძოდი, ვეომებოდი ყველას, რახედაც კი ხელი მიმიწვდებოდა. ამასობაში, საღამომ ისე მოატანა, რომ ვერც კი გავიგე. ჭაერი გაგრილდა, ტეისა და მინდვრის მკალობელთ



შესწევითეს თვისი სიმღერა, მხოლოთ ჰროწიალა მუძღე-
ბი ისევე წუოდენ და მოლადურის ნისკარტის ტკაცა-ტკუ-
ცი მკაფიოთ განსმობა დაბურულ ტყეში. მოჭიკჭიკე ფრი-
ნველთა ალაგას ხან-და-ხან განფრიალებდენ ღამურეები.
ძილი მოძერია და თავი მივდე დედას კალთაზე.

— გესმის, ანტონ, ნელა გაატარე ეტლი — შემომესმა
დედიჩემის ხმა, გავახილე თვალი და დავინახე რომ ჰა-
ტარა მდინარის ბოგიჩზე გაფარეთ.

— ახლა კი გავეწიოთ! — განსმა ანტონის ხმა და მა-
რჯვეთ გაიტკაცუნა შალტმა.

მე ისევე დავსუჭე თვალები და თავის აქეთ იქით ქანებით
ვეკვროდი დედის მუხლებს; ის იყო ძილს ვაპირებდი,
რომ ეტლი ძლიერათ შეინძრა, გადაწვა გვერდზე და გა-
ჩერდა.

— რა ამბავია? — შიშით დავეითხა დედა ანტონას, რო-
მელიც საჩქაროთ ჩამოსტა ეტლიდან.

— ალბათ თვალი გატყდა, — ბუტბუტით უპასუხა იმან.

— იჰ, კაი საქმეა. მაშ სახლამდის როგორღა მივაღთ?

— როგორმე უნდა მივიდეთ, მაშ ამ ტყეში ხომ არ
გავათევთ ღამეს, — უპასუხა ანტონამ და დაუწყო ეტლის
თვლებს თვალიერება.

— რისაგან უნდა გატყსილიყო? დავეითხა დედაჩემი. —
ამდენ ხანს მოვდიოდით და არა ეტეობოდარა! ასე უმი-
ზესოთ რა მოუვიდა სრულიად ახალ თვლებს.

— ქვას დაჯახებია, ქალბატონო, სწორეთ შიგ თვლებში მოჭყოლია! წმინდა სულს მოუგდია ეს ქვა აქა,— წაილანჯარაკა ანტონამ და დაუწყო ლანძღვა ჯერ თვლების გამკეთებელს, მერე თავის თავს და დაიწყო გატყუილი თვლის შეკეთება.



მე ძალიან მინდოდა ამ ქვის დათვალიერება და გადმოვედი ეტლიდან. როგორც კი ორიოდ ნაბიჯი გადავდგი, მთვარემ გამაშუქა და ცხადათ შევნიშნე, რომ ქვა ინძრეოდა. შიშით გაფითრებული გავუქანე დედისკენ.



— დედა... დედილო... ქვა ცოცხალია.

— რას ამბობ, რა დაგეძარბა, შვილო, — შეშინებით დაშეკითხა დედა.

— ქვა... დაცოცხავს!. შიშით ვუხასუსე მე და მივეკარ დედას ძუძუებში.

— რას ამბობ, ჩემო გვრიტო, უთუოთ მოგეჩვენა. ანტონ, აბა, ეკ ქვა აქ მოგვაწოდე.

ანტონი უშიშრათ მივიდა საშიშარ ქვასთან, წაჭკრა ფეხი და გაბრაზებით დაიძახა:

— კუ უოფილა, ქალბატონო, დასწევულოს ღმერთმა, უოველთვის იქ მიეჩრება სადაც მისი ალაგი არ არის.

ამას შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მე თამამათ მიუუხალოვდი „ცოცხალ ქვას“, რომელიც ანტონას ფეხის წაკვრასე ისევ უძრავათ დაეკლო.



ღამის სიბნელე ნებას არ მძალევედა რომ კუ კარგათ დაძვებლიერებინა და დედას შევესვეწე, ნება მოეცა რომ შინ წამომეღო. ისიც დაძვებინა.

გათენდა რომ სახლში მოვედით. მაშინვე ამოვიღე კუ კალათიდან და წარმოიდგინეთ ჩემი გაცეცხება, ღამაზე, ჭრელი ძელების მაგიერ, რომლითაც აკეთებენ სავარცხლებს და სხვადასხვა ნაირ ქაღალდის საჭრელ დანებს, მე დავინახე რაღაც მუქი მომწვანო ფერის, ვვითელ წინწკლებიანი ზატარა კუნძი. როცა კარგათ დავაცქერდი, შევამჩნიე, რომ მის კანზე ჩვენი მ იმე ეტლის გოგონებს ზატარა საზი დაეჩნიათ. წარმოუდგენელი იყო ჩემი გაცეცხება: როგორ დაძვებებინა, რომ ამ ზატარა თეფშის ტოლა არსებებს შეეძლო იმდენთანა ზატარი თვლების დანტვრევა.

ნახევარ საათს ვშინჯავდი კუს და ისიც უძრავათ იდვა, ბოლოს გამოჰყო ზატარა მოლიწული თავი წაგძელებული კისრით; აქეთ იქიდან გამოძვრენ რაღაც ოთხი ძატლებივით, წაწვეტებული ფრჩხილებით, რომელიც თურძე ფეხები იყო და ბოლოს, თავის გასწვრივ მოკლე წვეტიანი კუდიც გამოჩნდა.

ეს უცნაური ცხოველი, რომელიც ერთ-თავათ კიდობნით დასეირნობს, ისე ჩქარა გაიქცა, რომ ვედარ მოვასწარი დაჭერა; უცბათ შეძვრა ტანტ ქვეშ და მიიკრუნხნა ბნელ კუთხეში; ძალე გამოვართვი თავის სამალავიდან და წავიღე ბაღში მუშებთან საჩვენებლათ.

— უეურო, ვანო, როგორი კუ ვიზოვე! — ვუთხარი ერთ მუშას, რომელიც ვეკლასე ძალიან მიუვარდა, რადგან ის კარგათ იცნობდა ვეკლას ცხოველებს და დაწვრილებით მიამბობდა ხოლმე იმათ ამბებს.

— ოჰო, რამოდენაა! კიდევ მაგას გაუტეხია თქვენი ეტლის თვალი! — მიზასუსა ვანომ, — აქ ეკ იშვიათია, მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყნებში კი ათასობით შესვლებით, განსაკუთრებით გასაფხულზე, როდესაც ზღვა აღელვდება ხოლმე. კუებს მთელი ღამე მინავთ, სადმე მიგრუნჩსული, და როდესაც მზე გამოჩნათებს, უოველ კუნძუზე და უოველ ქვასე დასკუზდებას და მზესე იხუხებიან, საოცარი კუდიანები არიან, ნათქვამია: კუ ისე მარჯვეთ იჭერს თევსს რომ...

— იცრუე, იცრუე, რაც შეკემლოს, მაგრამ ის რათ გავიწეება, რომ რაც უნდა ჰატარს თევსი იუოს, კუს ეანერბტომი ვერ ჩაეტევა, — შენიშნა ანტონამ.

— ღმერთმანი ნამდვილათ მე თითონ მინახავს.


— როცა მთვრალი იყავი მაშინ თუ ნახე, — დაცინვით უზასუსა ანტონამ, — ძალიან არ დაეწევა კუ თევსს! თევსიელანია ხომ არ არის.

— ეე, შენც მოეუვი ახლა! მე ისეთი კუ მინახავს, ემაკ შენ წვერესე დიდი, — გაეხუმრა ვანო ანტონას, რომელსაც რაღაც ძაღლის კუდა ბალანი ესხა წვერების მაკიერათ.

— შენ ჩემ წვერებს თაჯი დაანებე, ეს ღვთის მოცემულია. კუები თუ შენ გინახავს, ჩვენც გვინახავს. თუ სწორე გინდა იცოდე — ბალახსა ჭამენ და არა თევზს. — თავ მოძწონეთ უთხრა ანტონამ და გაშორდა.

— შენ ეური დამიგდე რა გაძბო, მომიბრუნდა მე ვანო და მიაძბო შემდეგი: შარშან წინ, საფხულში, მდინარის ახლო, უნახს ვთიბავდი. ერთხელ ვაჯექი ერთ ზატარა ტბის ნაპირზე და ზურის ნამცეცებს ვისროდი ტბაში. წყალი ისეთი წმინდა იყო რომ ტბის ძირი მოჩანდა; ჩემ ზურის ნამცეცებს წყალში მრავალი წვერილი თევზი შემოეხვია, რომლებიც ერთი ერთმანეთს სტაცებდნენ ლუკმებს... ერთიც ვნახეთ ბალახემიდან კუ გამოძვრა. ოჰო, — ვიფიქრე, — შენც ზურის ჭამა მოგინდა, ვაჟბატონო მეთქი და გადავუკდე ნამცეცი. თევზებიც იქით გაექანენ. ამ დროს ეცა კუ ერთ თევზს და უეცრათ გადაელაზა. მას შემდეგაც რამდენჯერ მინახავს, რომ კუს თევზი გადაელაზოს, სხვებსაც უამბნიათ. მიჭქარამს ანტონა, რომ ამბობს ბალახს ჭამენო. კუ თევზით წყალში დაცურავს და ალბათ თევზსაცა ჭამს. — დაძმთავრა ვანო.

მე მაშინვე გავიქეცი, დავიჭირე ერთი ზატარა თევზი და მოვუტანე, მაგრამ კუმ არა ჭამა. შემდეგ მოვუკერიფე ბალახიც, არც იმას ახლო ხელი. მთელ დღეს ბნელ კუთხეში იჯდა. ღამე, როცა სანთლები გავაქრეთ და დასაძინებლათ მოვკმსადეთ, კუმ დავწყო ოთახში სიარული და ძალზე არა-



ზუნებდა, რადგან ხანს იარა მე არ ვიცი, ჩამძინებოდა. როგორც ვათენდა წამოვსტი რომ მენახა, თუ რას შერებოდა ჩემი კუ და წარმოიდგინეთ ჩემი გამოცემა და სისხრული—კუს კვერცხები დაედო, რომლებიც ტრედის კვერცხებს ძალიან მიაგავდა. ფაცი ფუცით მოვავროვე და ვნახე რომ შვიდი კვერცხი დაედო, შვიდივე მთელი და კარგები იყვენ. რა ნაირათ შევწუსდი, რომ ეს წინეთ არ ვიცოდი. ალბათ კუ იმიტომ დადიოდა და აბრახუნებდა რომ ბუდის გაკეთება უნდოდა.

— გაუჟკეთებ ბუდეს და კრუხათ დავსვამ, — ვიფიქრე მე, — ერთიც ვნახოთ ზაწაწკინტელა კუები გამოძინეკოს! გაგიქეცი საბძლისკენ, საჩქ როთ გამოვიტანე თივა, მოვავროვე ბუმბულები და დავიწვე კუთხეში ბუდის კეთება. ისე შევნიერე რბილი, რგვალი ბუდე გავაკეთე, როგორც ჩიტებს აქვთ ხოლმე, წუობისათ ჩავაწვევი შიგ კუს კვერცხები, დავიჭირე კუ და ჩავსვი შიგ.

ერთი ათი მინუტი კუ მშვიდობიანათ იჯდა ბუდეში, მაგრამ ძალე დაიწყო ბუდიდან გადმოსასვლელათ წევა. მანამ მე მივეშველებოდი ის მოუხეშავი გაიხლართა თივაში, დაძალა მთელი ბუდე, ოთხი კვერცხი გატყულიტა და არაფერ ეურადღებასაც არ აქცევდა კვერცხებს, თითქო თავისი არ იყო, ეს კი მე საშინლათ მწეინდა.

— რა მოვასერხო! — ჩავფიქრდი მე, მაგრამ იმ დღეს ისეთ ქეიფზე ვიუხავი, რომ უგელას უცებ ვიგონებდი. ამა-



ზე უკეთესი რა არის: კუს თუ თითონ არ უნდა თავის კვერცხების გამოჩეკა, მოდი ტრედს შევუწურობ მეთქი, ჩემი კრუტუნეები შევნივრათ გამოძიეკენ, მხოლოდ უნდა საიდუმლოდ შევინახო და არავის ვუთხრა სანამ კუები არ გამოიჩეკებიან მეთქი. შევძვერ სამტრედში და ადვილათ გამოვუცვალე მტრედებს კვერცხები კუს კვერცხებზე. კრუტუნეები ერთგულათ ისხდენ კუს კვერცხებზე და მეც სული სულზე ველოდი იმ დღეს, როდესაც ტრედის ბუდეში აფუთფუთდებოდენ ჰატარა კუს ბარტუები.

თითონ დიდი კუ მე აღარ შეინტერესებოდა, ის მეტათ მოსაწეენი იყო; არც თევზსა ჭამდა და არც ბალახს; მთელი დღეობით გაუნძრევლათ იჯდა სადმე ბნელ კუთხეში ხან წელთ სავსე ტაშტში ჩავსვამდი, მაგრამ მაშინვე ფართხალს დაიწეებდა, როდესაც ამოვიყვანდი ისევე კუთხეში მიიუყებოდა. არც შემეჩვია, ისევე ისე მერიდებოდა, როგორც პირველათ. ბოლოს, ვანოს რჩევით კუ წავიყვანე ეზოში და ჩავსვი გობში, შიგ ჩავუდე დიდი ქვა, რომელზედაც შეემლო დამჯდარიყო და მხის სხივებზე გაეთბო ტანი. რაკი ასე დავაბინავე, მერე იშვიათაფხედავდი სოლმე, მაკიერათ დღეს არ გავიყვანი, რომ სამტრედში არ შევძვერალიყავ.

მკონი თრ კვირას შემდეგ ვნახე რომ ტრედის ბუდე ცალიერი იყო და კუს კვერცხები მიწს ეყარენ. მე პირველათ ძალიან შემაწუხა ტრედის ასეთმა უმაღლო საქცი-

ელმა, მაგრამ როდესაც კვერცხები ხელში ავიღე გამოჩნდა რომ ისინი სულ მთლათ დაფუტულიყვნ, ამახ კიდევ უფრო შემაწუხა და მაშინვე ვანოს გამოფუტედი ჩემ საიდუმლოს.

— ეს, ბატონო, რატომ წინეთ არ მითხარით? კუ, შე დალოცვილო, ჩიტი ხომ არ არის რომ კვერცხები გამოჩიოვს? ისინი კვერცხებს მიწაში ფლავენ. მე ერთ ნემეცის ბაღში ვიდექი და იქ მინახავს კუს კვერცხის დება. მახსოვს ერთხელ, დამე, ვწევარ ჩემთვის საფხულის მუშაობისაგან დაღალული, მესმის რაღაც ფაჩურობს. ვხედავ კუ მდინარიდან მოძვრება, ამოვიდა მიწასე, დატრიალდა ირგვლივ და უკანა ფეხებით დაუწყო მიწას თხრა. დიდ ხანს თხრიდა და თითქმის ნახევარი არშინი ორმო ამოთხარა. შემდეგ დაიწყო კვერცხის დება. დამე ნათელი იყო და კარკათ ვხედავდი, რომ კუ ორმოში ერთი-მეორეზე დებდა კვერცხებს. თუმცა მეძინებოდა, მაგრამ ვიფიქრებოლომდის მეცქირა: ათამდი კვერცხი ჩაღვა ორმოში და მერე მიაყარა მიწა; ისე დატკეპნა რომ სწორეთ მიწის ჰირათ იყო, ერთი ორჯულ შემოუარა და ჩავიდა ისევ წყალში.— ამაღამ დავიძინებ და დილაზე ამოვთხრი, — ვიფიქრე მე და დავიძინე, მეორე დღეს ბევრი ვეძებე, მაგრამ ვეღარ ვიპოვე. არ ვიცდი რა მიხეჭი იყო. ხომ არ მომეჩვენა მეტი, ვამბობდი, თითქო არც მთვრალი ვიყავი? შუადღეიდე ვეძებე და ვერ ვიპოვე, შემდეგ მუშაობაში კიდევ

დამავიწყდა. სამარობოთ, ერთიც ვნახოთ აქეთ-იქით ხედვენ ჩვენ ბაღში ჰატარა კუს ბარტყებს. ისეთი ერთნაირები იუვენ და ლამაზები, რომ გაცდებოდით, სწორეთ შაურინანი შავი ფულის ტოლები იუვენ. ხანდახან დავიჭერდით ხოლმე და დავისვამდით მუხლზე: იმ წამსვე თავს გამოჭყოფდენ, თვალებს გაახელდენ და აქეთ-იქით იჭეიტებოდენ. — თქვენც ალბათ იმიტომ შეგხვდათ კუ ბოგირთან, რომ კვერცხების დასადებათ გამოსულა. — ასე დაბოლოვა ვანომ კუს ამბავი.

დიდი კუ დიდხანს არ გაჩერებულა ჩემთან. ერთ საღამოს საშინელი დიდი წვიმა მოვიდა. გობი, რომელშიაც კუ იჯდა, სულ გამსილიყო. მეორე დილას რომ მივედი, შიგ ადარ დამიხვდა. ალბათ გობი რომ წვიმის წყლით გაივსო, გადმოვიდა და გაიწარა.

მას აქეთ კარგათ გავიცან კუს ცხოვრება და არ შემიძლია ვანოს ნაამბობს არ დავეთანხმო, თუმცა არც ანტონა ტუოდა, როდესაც ამბობდა, კუები ბალახს ჭამენო. ამ შემთხვევას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ უოველთვის მეცანება ხოლმე რომ წარმოვიდგენ, რა ნაირათ დავტანჯე ჩემი კრუტუნა ტრედები კუს კვერცხებზე ჯდომით და რა ნაირათ შევმინდი, როცა დავინახე, „ცოცხალი ქვა“



ფიზიოლოგიური წერილები.

წერილი მესამე.

მეუ გახსოვს, ჩემო პატარა მკითხველო, წინა წერილში საჭმლის ამბავი გაუთავებელი დამჩნა; ახლა ვეცდები, გავათავო; შენც უთუოთ აქამდის დაისვენებდი და იმედი მაქვს ყურს დამიგდებ.

ასე თუ ისე თავისი საგნები თითოეულმა მოსწავლემ იცის, მაგრამ საუკეთესო შეგირდს მხოლოდ იმას ეძახიან, რომელმაც ყველა საგნები კარგათ იცის.

ბევრი რამ გამოდგება საჭმლათ, მაგრამ საუკეთესო საჭმელი მარტო ის არის, რომელიც მეორე წერილში ჩამოთვლილ ყველა დანიშნულებას კარგათ ასრულებს, ე. ი. სითბოსაც გვაძლევს ბლომით, საჭუშაო ძალ-ლონესაც, ტანის დანაკლისის შესავსებ მასალასაც და სხვ. ამ გვარი საჭმელი კი არის ხორცი, პური და მსუქანი ნივთიერება, როგორც ერბო, კარაქი და სხვ. შენ წამოიძახებ: წყალი და მარილი დაგაეწყდაო. წყალი და მარილიც ძალიან საჭიროა, მაგრამ, თუ არ მოვიხსენე, იმიტომ რომ ყოველგვარ საჭმელში არის წყალიც და მარილიც; ხორცშიც, პურშიც და ერბოშიც. რადგანაც მუდამ ერთნაირი საჭმელი ადამიანს მალე ბეზრდება, ამიტომ დრო გამოშვებით მწვანე ილეულობა, ხილი და სამარხეო შეჭამანდიც უნდა ჰქამოს ხალხმე. თავდაპირველათ საჭმელი შენ მიგაქვს პირში, პი-



რადან საჭმელი საყლაპავში გადადის, იქიდან კუჭში, რომელიც ადამიანს მარცხენა მხარესა აქვს, გვერდის ნეკნებს ქვეშ. კუჭიდან საჭმელი წელებში გადადის. როგორც პირში, ისე კუჭში და წელებში საჭმელი ბევრნაირათ იცვლება, რომ უკეთ მოსანელებელი შეიქნეს. მაგრამ, სანამ კუჭისკენ გაეგზავნიდეთ საჭმელს, ჩვენ თითონაც გადავაკეციებთ ხოლმე: ხორცს ეხარშავთ ან ეწვავთ, რადგანაც უმი ხორცი მაწყინარია და ძნელი მოსანელებელიც; ფქვილს ეზელავთ და პურათ ვაცხობთ, რომ უკეთ შეგვევროს... პირში საჭმელი იღეჭება კბილების შემწეობით, დიდი ლუკმა უფრო პატარა-პატარა ნაწილებათ იყოფა. საჭმელი ყოველთვის კარგათ უნდა დაღეჭოს ადამიანმა და დაუღეჭავი არ გადაყლაპოს, რადგანაც კუჭში საჭმელი უნდა გადნეს-გათქეფიფოს; დაღეჭილი საჭმლის გათქეფვა კი უფრო ადვილია, ვიდრე დაუღეჭავის; დაუღეჭავი საჭმლის გათქეფვისათვის კუჭს მეტი შრომა ეჭირვება; გადაჭარბებული შრომა კი მას მალე ახდენს. დაღეჭვის გარდა პირში საჭმელს ნერწყვი ერევა; ნერწყვი აადვილებს საჭმლის ღეჭვას და გადაყლაპვას, რადგანაც სველი საჭმელი უფრო ადვილათ ჩაცურდება კუჭში, ვიდრე მშრალი: როცა ფშატსა ჭამ, მაშინ ყლაპვა უფრო გიძნელდება, რადგანაც ფშატი პირს აშრობს. საჭმელი რომ კარგათ დაიღეჭოს, ენა უგდებს ყურს; ის კარგ მკალოვესავით უტრიალებს ლუკმას, ხან ერთ გვერდზე მოაქცევს კბილებსა და კბილებს შუა, ხან მეორეზე. როცა ლუკმა კარგათ დაიღეჭება, ენა ამოსდებს ქვეშ წვერს, გადცურებს ზურგზე და გადაგზავნის საყლაპავში, საყლაპავიდან იწყება წელის მსგავსი მილი, რომელიც კუჭს უერთდება. საჭმელი საყლაპავიდან ამ მილში ჩაცურდება და ჩაეა კუჭში. ენას, ყბებს, საყლაპავის კედლებს, — კუჭები ამოძრავებენ; კუთებს კი აწიქმედებს ტვინი.

კუჭი პატარა პარკს წარმოადგენს; იმაში საჭმელი დოსავით ითქეფება. რა საჭიროა საჭმლის გათქეფვა? აი რა: ცომი რომ ტილოზე დადვა ას წელიწადსაც რომ იდვას, მეორე მხარეს არ გავა. წყალში რომ გაქნა და მერე ტილოზე დაასხა, მაშინ თუ სულ არა,

უმეტესი წილი მაინც გავა შიგ. საქმელიც წელების კედლებიდან სისხლში უნდა გადაედეს, მაგრამ სქელი საქმელი წელებში ვერ გაატანს; ამიტომ საქმელი ჯერ ძალიან უნდა გათხელდეს, გაიხსნას და მაშინ შეიძლება მისი სისხლში გადასვლა... კუჭიც ამათგან აღნობს საქმელს. აი რანაირათ ხდება ეს: როცა საქმელი კუჭში ჩადის, კუჭი მოძრაობას იწყებს; მისი კედლებიდან გამოვა კუჭის წვენი, რომელიც მღვრიე მოყვითალო ფერისა არის და მჟაფე გემო აქვს. ეს კუჭის წვენი აერევა საქმელში და ისეთი თვისებისა არის, რომ რამდენისამე საათის განმავლობაში მთლათ გახსნის და გაათხელებს. როცა საქმელი სრულიად გათხელდება, მაშინ ის გადადის წელებში; აქ საქმელს შეერევა ნაღველი, რომელსაც ღვიძლი ამზადებს.

ღვიძლი ადამიანს მარჯვენა მხარეს აქვს გვერდის ნეკნებ ქვეშ. ღვიძლში ნაღველი განუწყვეტლათ მზადდება ნელა-ნელა, გროვდება პატარა პარკში, რომელიც ღვიძლს ქვეშიდან აკრავს. ეს პარკი უერთდება წელებს დასაწყისში წვრილი, პატარა მილით. საქმელი რომ კუჭიდან წელებში გადმოვა, ნაღველი მაშინვე გამოსწევს პარკიდან წელებში ამ წვრილი მილით და საქმელს შეუერთდება. ახლა ეს ვიკითხოთ, რა საჭიროა ნაღველი? საჭირო რომ არ იყოს, ღვიძლი რა მოკლილი იქნება, რომ იმის მზადებისათვის თავი შეწყუბოს?! საქმე იმაშია, რომ კუჭის წვენი ქონს ისე ვერ აღნობს, რომ წელებიდან მისი სისხლში გადასვლა შესაძლებელი იყოს. ნაღველს კი ისეთი თვისება აქვს, რომ ქონს ერთობ კარგათ აღნობს და ხსნის. მაშ ნაღველი რომ არ ყოფილიყო, კუჭში ჩასული საქმლის სიმსუქნე თითქმის ისე დაიკარგებოდა, რომ სისხლში ცოტას მეტი ვერ გადავიდოდა და ჩვენც ვერ მოგვხმარდებოდა. გათქვეფილი საქმელი მოძრაობს წელებში; კარგი ნაწილი გადადის სისხლში, უფარვისი კი რჩება და მალე ტანს შორდება. წელების და კუჭის მოძრაობა-მუშაობას, საქმლის სისხლში გადასვლას იგივე ტენიი განაგებს ნერვების შემწვობით. ამიტომ, როცა მე გესაუბრები, ტენიი მუდამ სახეში უნდა გქონდეს, რადგანაც მთელი სხეულის გამგე ის არის.

ის საუკეთესო მეცნიერია, რომელმაც ზედმიწევნით იცის სხეულის ყოველგვარი საჭიროება; არაოდეს არ დაფიქრდება და ყოველთვის იცის, სად და რა შემთხვევაში როგორ მოიქცეს. ჩვენი ტანის ყოველი მცირე ნაწილიც კარგათ გრძნობს ამას, დარწმუნებულია, რომ ტვინი თუ რამეს უბრძანებს, ისევე მისი საკუთარი სარგებლობის გულისათვის, და ამიტომ ყოველგვარ მის ბრძანებას სწრაფათ ასრულებს.

მცენარე ერთ ალავს არის გაჩერებული, ფესვები ღრმად ჩაურჭვია მიწაში და მუდამ საზრდოს ძებნაშია. ადამიანი კი მოძრაეია, დღეს აქ არის, ხვალ სხვაგან; საქმელი თავისით პირში არ უფარდება: დღეს აქ უნდა ეძებოს, ხვალ იქ. ეინ ეუბნება მას: აი ახლა უნდა ჭამო, ახლა უნდა დალიო? ეინ და შიმშილი და წყურვილი. როგორც უკვე იცი, კუჭი უძირო ხომ არ არის, რომ ათასი ბევრი ჰყარო შიგ, არ აივსოს! ეინ ეუბნება ადამიანს გეყოფა, მეტი საქმელი აღარ გინდა? აი ეინ: როცა შენ სადილათ დაჯდები, რამოდენსამე ხანს შემდეგ შიმშილი აღარ გაწუხებს და გრძნობ, რო გაძენი, მეტი აღარ გინდა. აი სწორეთ ეს გრძნობა გატყობიებს: კმარა რაც ჭამეო. შენ მაშინვე უნდა დაემორჩილო ამ გრძნობას და ჭამას თავი დაანებო; მაშინ შექმული საქმელი შეენიერათ შეგერგება. თუ არ დაემორჩილები, შეგიძლია, ერთი იმდენი და მეტიც კიდევ შეჭამო: კუჭი გაიჭიმება და, როგორც იქნება, ჩაიტევს. განა არ გიყურებია, სოფელში რომ დილიდან საღამომდე სუფრას უსხედან ლხინის ღროს, ჭამენ და ყანწებით ღვინოს ისხამენ პირში? მაგრამ ჩატევა სხვა არის, შერგება სულ სხვა. იმაზე მეტის შეჭმა, რასაც გრძნობა არ გეუბნება, არა თუ არ შეგერგება, პირიქით ზიანს მოგიტანს: კუჭს და წელებს ისე წაგიხდენს, რომ ბოლოს რაც საჭიროა, იმასაც ვეღარ მოინელებ.

ხშირათ საქმელში ისეთი ნაწილები გამოერევა, რაც ტანისათვის მანებელია. ამ გვარი მანებელი საქმლისაგან გემოენება და ყნოსევა გეიფარავს. გემოს და სუნს გრძნობენ ნერვები, რომლებიც


ტვინიდან გამოდიან და ენასა და ცხვირში თავდებიან. როცა საჭმელს ცუდი გემო აქვს, ენაში გათავებული ნერვები მაშინვე ტვინს ატყობინებენ; საჭმელი არ ვარგაო; ჩვენ ამ დროს ცუდ გემოს ვგრძნობთ პირში; ტვინი განკარგულებას მოახდენს და საჭმელს უკან გამოგვადლებიებს. როცა საჭმელი დამზალია და ყარს, ის ნერვები, რომლებიც ცხვირში თავდებიან, მყისვე იგრძნობენ და ტვინს გააგებიებენ: საჭმელს ცუდი სუნი უღსო; ტვინი მაშინვე დაფათურდება და ამისთანა საჭმელზე ხელს აგალებიებს.

მცირედენი მოთმინება კიდევ იქონიე, ცოტა დამრჩა. გათხელებული საჭმელი რომ წელებში გადავა, წელები ამოძრავდებიან, წელების კედლები საჭმელს შეისვამენ; კედლებში დატანებულია ათი ათასობით მეტათ წვრილი მილები; შესმული საჭმელი გადავა ამ მილებში; ამ მილებს საჭმელი სისხლის მილებისაკენ მიაქვსთ და სისხლს შეუტრევენ. სისხლსაც გულისაკენ მიაქვს საჭმელი. გული კი სისხლის შემწეობით ამ მოტანილ საჭმელს მთელ ტანს უგზავნის. თუმცა ტანი ძალიან გაფრთხილებულია, მაგრამ წელებიდან სისხლში მაინც გადადის ისეთი ნაწილები, რომლებიც ადამიანის სხეულისათვის მაწყინარია; მაგრამ ჩვენი სხეული ისეა მოწყობილი, რომ, სანამ სისხლი საჭმელს გულს მიუტანდეს, ჯერ ღვიძლი უნდა გაიაროს. ღვიძლი წმენდს საჭმელს, უვარგის-საექვე ნაწილებს თითონ იტოვებს და ნაღველის მომზადების დროს ხარჯავს, გაწმენდილ საჭმელს კი გულს უგზავნის. ამით ვათავებ ჩემ მესამე წერილს და საჭმლის ამბავსაც. რაც გითხარი თუ ყველაფერი დაისწავლე, მეც გული წამიხალისდება და შემდეგ თუ შენი ნებაც იქნება, კიდევ მოგიყვები რასმე.

ვანო გამაჩთელი.

საკვირველებანი გუნებოსა.

№ 15 ჰია-ჰია



ევრ სამსახურს უწევს მცენარე კაცს, ბევრი სიკეთე აქვს კაცს მცენარისაგან. — მცენარე არჩენს კაცს, მცენარით იკვებება ადამიანი თითქმის მთელ ქვეყნიერობაზე; მცენარე ჰმოსავს კაცს, მცენარე აძლევს მას ბამბას და სხვა და სხვა გვარ ძაფებს (სელოს, კანაფს...) ქსოვილებისათვის; მცენარე ჰკურნავს კაცს სნეულობისაგან, მცენარე აძლევს მას მზა-მზარეული წამლებს; მცენარე ატკობს კაცს შაქრეულით, ხილეულობით და მრავალ ფერი სანელით; მცენარიდან აკეთებს კაცი ღვინოებს, ზეთებს და სხვა და სხვა სასმელებს; მცენარე აძლევს კაცს წებოებს, საღებავებს და ვინ მოსთვლის კიდევ რას...

მაგრამ იცი ისიც, რომ მცენარე აძლევს კაცს აგრეთვე რძეს? მერე როგორ რძეს, — სანაქებოს, საუტკეთესოს. რძეს, რომელიც არ ჩამოუტვარდება არც ერთ ჩვენებური საქონლის რძეს, სუნნელოვანს, ნოყიერს ასეთი ხეები იცანს ამერიკაშიაც, აფრიკაშიაც. ზოგს ჰქვია „თაბობა“, ზოგს დაარქვენ „ხე-ძროხა“, მაგრამ ყველა ამ გვარ ხეებში ყველაზე შესანიშნავია ერ-

თი ამერიკული ხე „კია კია“. ასე ეძახის ამ ხეს იქაური ხალხი და ეს სახელი კნიშნავს ჩვენებურათ „ტკბილ-ტკბილს“.

და მართლაც, ტკბილიც არის ამ ხის რძე და მსუქანიც; აქვს ყუათი და ჩინებული სუნი. ეს რძე იქაური ხალხისათვის ისეთივე შემრგოა და მაწიერი, როგორც საუკეთესო ძროხის რძე ჩვენთვის.

კია-კია ხარობს მომეტებულათ უფრო ტბებისა და მდინარეების ნაპირებში. გულში და ქერქში იმდენი უდგას ამ ხეს რძე, რომ როდესაც ჭრიან ხოლმე კია-კიას, მთელი ერთი საათის განმავლობაში თეთრათ იღებება მდინარეები იმისი რძით.

კია-კია ძალიან მიჩნეულია თავის ქვეყანაში; წმიდა ხეს ეძახის მას იქაური ხალხი. ის იქ მთელი სიმდიდრეა კაცისა, ის იქ სასწაულთ-მოქმედებაა ბუნებისა.

ლადო აღნიაშვილი.

სამეცნიერო გასართობი

№ 5

ცდა მარიოტისა

კაცსა აქვს თვალში ერთი ისეთი ადგილი, რომლითაც ის სრულიად ვერასა ჰხედავს. ამ ადგილსა ჰქვიან „ბრმა წერტილი“ ანუ „მკვდარი წინწკალი“. მაგრამ კაცი ვერ ამჩნევს თავის თვალს ამ სენს, ამ ნაკულუევანებას. და ვერ ამჩნევს აი რისთვის: შეუძლებელია, რომ

ცქერაში ერთსა და იმავე დროს დაუსისწვრივდეს საგანს ერთათ ორივე თვალის ბრმა წერტილები. თუ, ვინიცობაა, ერთი თვალის ბრმა წერტილი დაუპირდაპირდა საგანს, მაშინ მეორე თვალი იხსნის მას გაჭირვებიდან და ამ გვარათ ჩვენთვის მუდამ შეუძინეველი რჩება ეს გარემოება.

ხოლო თუ გვინდა უსათუოთ შევიგნოთ ეს ნაკლი ჩვენი თვალებისა, უნდა მარტო ერთი თვალით ვუცქიროთ საგანს.

აი აქ არის დახატული ერთი ჰაწია თეირი ჯვარი



და ერთიც მოხდილი თეთრი წრე. დაიღე ეს სურათი წინ, დასუჭე მარცხენა თვალი, დახარე თავი სურათისაკენ ახლო და დაბსტერდი მარჯვენა თვალით ჯვარს. სურათს ხელი არ ახლო, ჯვარს თვალი არ მოაშორო, თავი კი ნელ-ნელა შევით აიღე და ამ დროს შეგხვდება ერთი ისეთი ადგილი, როდესაც თეთრი წრე თვალთაგან მიგეფარება და იმ ჰატარს ჯვარის გარდა მთელი ადგილი შავათ გეჩვენება. ეს ექნება სწორეთ იმ დროს, როდესაც თეთრი წრე დაუსისწვრივდება მკვდარ წერტილს თვალისას და ის წერტილი ხომ, როგორც ბრმა, ვერა ჰხედავს ვერაფერს.



თხა და ცხვრები.

ი გ ა ვ ი

სალამო ჟამზე ტეის ზირას ცხვრის ფარს იყო შესასვენებლათ დაბინძვებული. ცხვრები ჯგუფ-ჯგუფათ წამოწოლილიყვენ და გრილ ნიაზე ცოხნით შეექცეოდენ. შუაში უწვათ უშველებელი ტანის ვაცი, (მაძალი თხა) რომლის რქებისა და წვერის სიდიდე ეველას ეურადღებას იზიდავდა. ეს ვაცი წამოდგა ფეხზე, ნახათ გაიჭიმ-გაიხმორა, მედიდურათ გადააჯლო. მწოლარე ცხვრებს თვალი, ამაუთ, წვერის ცანცარით დაიწყო წინ და უკან ბოლთის ცემა და მოჭევა ასეთ ტრახახს:

— თქვე უბედურებო, უთხრა ცხვრებს: ნეტა უჩემოთ რა უნდა გექნათ, როგორ უნდა გეცხოვრათ: საითაც მე წავალ, ეველანი იქით გამოშევებით; გაფხერდები — გაჩერდებით! დაწვეები — დაწვებით, უჩემოთ ნაბიჯის გადადგმა არ შეგიძლიათ! მე რომ ღმერთს ვუვალატო, თქვენზე ხელი ავიღო და ზატრონობა მოგაკლოთ, სომ ეველანი ერთ დღეს დაიღუპებოდითო.

ამ დროს ერთმა მოხუცებულობით გამოცდილმა უფროსმა (მამალი ცხვარი) ზასუსის მაგივრათ განზრახ უცბათ წამოიძახა:


— არიქა, მკელიო!

მკელის გაცონებაზე თავ-მომწონე ჯაცს შიშის ზარმა დაუბნია გონება, დაავიწუა წარმოთქმული სიტყვები; იგი გადახტა, გაჭქანდა, გადათელა ცხვრები, ფარაში აურ-ზაური მოახდირა, თითონაც არ გაეგებოდა, საით მირობოდა.

მის ტრახახის გამკონმა ცხვრებმა დაცინვით უკან მიბულოეს:

— ჩვენო ვაცო, ჩვენო ვაცო! რათ გვტოვებ, რათ გვტოვებ? თუ ძფარველი და ჰატრონი ხარ, რათ გარბიხარ?

აღ. მ—შეილი.



ენახოთ, ვინ ვის აჯობებს!

ზარეული ნადირი დაემუქრა ადამიანს: „მიფთხილდი, თორემ თუ მოგავლე ჩემი ბასრი კბილები, დაგუფლეთ, ძვლებსა და რბილს გაგიერთებ! ან შიმშილით მოკვდები, სანამ მე დაბურულ ტყეში მიპოვნიდეთ!“

გარეულმა ფრინველმა თქვა: „ისე მაღლა აფრინდები ჭყარში, რომ ადამიანის თვალიც ვერ მომწვდესო! რას განხდება ის ჩემი მარდი ფრთების წინააღმდეგო?“



თევზმა დაიტრახა: „ეკ არაფერი! ისე ჩავუგრეუძელავდები წულის ღრმა მორევში, რომ ჩემი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგოს ადამიანმა. ის ხომ წუალში ვერ ისუნთქებს, კიდევ რო ჩამოვიდესო!“

ჭიამაც კი ენა ამოიდგა და ასე ლაფლიფებდა: „მე რომ დედამიწის გულში ჩავმგრები, რა ეშმაკი მომაგნებს! თუნდა კიდევ მიზოფონ, ვის რათ ვუნდივარო?“

ადამიანი გამოვიდა სახლიდან, წაიყვანა ძაღლი, წაიღო თოფი, მასე, ბადე და ბარჩი. მოძებნა ტყეში მხეცი და მოჭკლავ თოფით, მოიტყუილა ფრინველი და დაიჭირა მასით; გადაბგდო ბადე და ამოიყვანა წუელიდან თევზი; ამოიჩიქნა დედამიწიდან ჭია და ჩამოაცვა ნემს-კავსე....

თეოფ. კანდელაკი.

მორთული და-ძმა.

(იხ. სურათი).


სუ, ბაბო, ვიდაც მოდის, კარგათ კი მოვირთეთ, მამიდა რომ დაგვინახავს, ეგონება ამხანაგები მომივიდაო!..

— სათვალეები საშინლათ მიჭერს, სანდრო, წინდის თვლებიც ჩამივარდა, მამიდა უსათუოთ ყურებს დამისრესს.

სასასილო გასართობი.

თუ თქვენი სტუმრები მოწვენით არიან, შეგიძლიათ ამ ჰატარა გასართობით გაამხიარულოთ: აიღეთ ჰატარა ჭიქა, ჩაასხით წყალი, დადგით მაგიდაზე და ზედ მოწიწებით ქუდი დააფარეთ, მერე მიუბრუნდით სტუმრებს და უთხარით, რომ თქვენ შეგიძლიათ ეს წყალი ისე დალიოთ, ქუდს ხელი არ ახლოთ. ამას რასაკვირველია არ დაგიჯერებენ. მაშინ თქვენ ხელებს უკან დაიწყოთ, დაიკუსებით ქუდისკენ და დაიწყოთ ტუჩებით სრუტვას, ვითომ სვამთ. მერე ეტყვიან სტუმრებს: გათავდა! ისინი უთუოთ მაშინვე მიცვინდებიან ქუდს და თითონვე ახდიან. თქვენ ამ დროს აიღეთ ჭიქა, დალიეთ წყალი და უთხარით: აი მე წყალი ისე დავლიე, რომ ქუდისთვის ხელი არ მიხლიათქო.

არჩილ ჯაჯანაშვილი.



ხ ა ლ ხ უ რ ი



(გაგონილი მათა ახლობის ქალისაგან; ჩაწერილი ღადო იაშვილისაგან)

მას ეგებება მისი,
 ჩოხის კალთებს გადიკეცსა,
 მუშათა ყანაში გზავნის,
 ხარებიც წინ გაიგდეთა,
 ზედ დაადგით იარაღი,
 ნუ დატოვებთ ფარცხის წყნელსა
 მესადილეს დაუბარებს
 ლობიოს და ლომის თესლსა;
 ქალებს ბჟოლაზე (თუთა) აგზავნის
 ანალ-გაზდა პატარძლებსა,
 ბებრებო. თქვენ შინ იყავით
 ოჯახი არ წავიხდეთა.
 წავა და ყანებს დაივლის
 თველი არ წაუხდესა,
 მეველეს კარგათ დაითხოვს —
 ცხენები არ ჩაეღდესა...
 მე ხომ ეს არის მიედივარ
 შივანდობ აწ თიბათევსა.

✓ ზ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მოეცალენით მაგას, იუდას,
 ხედავთ ავია, ბორბოტი სული;
 შეხედეთ ვალი არაინ თხოვოთ,
 თორემა მაგით ძოუყა გული.



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ვანო ლალიაშვილისაგან.)

შეგნებულ კაცთან ჭირი სჯობს შეუგნებელთან ღზინსაო.

კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული:
სხეები შრომობენ, მხნეობენ; იგია გულ ამღვრეული.

კატას ძეხვი დაეცა, ნეტავი აჩნარი მენი მუდამ დამეცესო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი სახელის. სასწ მოწაფე ვ. ეგოშვილისაგან.)

ხმამალლა ყვირილი იცის
და დაბტის როგორც კალია;
კურდღელივით აქვს თვალები,
ცხოვრობს იქ, სადაც წყალია.

(წარმოდგენილი ივ. გომელაურისაგან)

წკაპი, წკუპი წკაპარასა, ნადირობს და ქამს არასა.

ერთი რაჟა სულიერი სუუთათ იღებს ყელსა,
სასიკვდილოთ სახლს იშენებს, დგება შავსა ბნელსა.


ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მოსწ. ვ. ეგოშვილისაგან.)

პირველი იარაღია შორით დამძლვეი მტერების;
მეორე ქალაქი არის, შავი ზღვის პირათ შენდების;
ორივე ოთხი ასოთი ადვილათ დაიწერების.

უჯრების გამოცანა.

(წარმოდგენილი მოწაფე იოსებ დუჩიძესაგან).



ამ უჯრებში ჩასეთ შემდეგი ასოები რომ გამოვიდეს რომელიმე ანდაზა: ე, კ, ლ, ი, მ, ვ, ო, ს, ი, ლ, წ, ა, რ, ო, ს, ი, ძ, ა, ნ, უ, ყ, ო, ს, ი, ხ, ა, თ, უ, ღ, ა, ე, ი, დ, ა.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მოწაფე ვ. ეფოშვილისაგან).

სწორე ადგილის სახელი
ოთხი ასოდან შედგება,
წინ უხმოს თუ მიეუმატებთ
ქვეწარმეალი გახდება;
შხამიანია, საშიში,
ვინც ნახავს შეეზარება.

რებუსი



ს რ



100

ტ



კ



ლ ს მ ჰ



ს



№ IV გამოცანებისა.

აკროსტიხები: 1) კაკაკი, 2) დიანბეგი.

რებუსი: მადლმა სტქეა წუთისოფელში
 ყოფნა ვაი რა ძნელია,
 ძალა ძალოვნობს, ბატონობს,
 მე გული გადამელია,
 საცა კი შეეხვი დამძლია,
 ვერ შეეუბრუნე ხელია,
 მართალი უთქვამთ ეინცა სტქეა
 ძალა აღმართის მხენელია.

რებუსი ახსნეს თვალისში: საქალებო გიმნაზიის მეორე კლ. მოსწავლე ქალმა ბარბარე როსტომაშვილმა და გიგო ერქომანიშვილმა; კაკაკი: გიმნაზიის მოსწავლემ ბესიკ ჭიჭინაძემ; გორში: რებუსი და აკროსტიხი ეანო ლალიაშვილმა, დათიკო მაჭავარიანმა და ნიკოლოზ მერაბაშვილმა.

რედქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.